- [6] Kerimov I.A., Stepanova I.E., Raevsky, D.N. Combined Approximation Methods for Solving Gravity and Magnetic Problems. // *Geology and Geophysics of the South of Russia*, No. 3, 2018, pp. 37-50.
- [7] Stepanova, I.E., Kerimov, I.A., Raevsky, D.N., Shchepetilov, A.V. On improving methods for processing large amounts of data in geophysics and geomorphology based on modified S- and F-approximations. // *Physics of the Earth*, No. 3, 2020, pp. 82-97.
- [8] Stepanova I.E., Kerimov I.A., Yagola A.G. Approximation approach in various modifications of the method of linear integral representations. // *Physics of the Earth*, No 2, 2019, pp. 31-46.
- [9] Strakhov, V.N., Kerimov, I.A. Approximation constructions of spectral analysis (F-approximation) of gravimetric data. // *Physics of the Earth*, No. 12, 2001, pp. 3-20.

ლანდშაფტების პერცეფცია: პერსპექტიული მიმართულება კონსერვაციულ გეოგრაფიაში

ჯამასპაშვილი ნ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
neli.jamaspashvili@tsu.ge

ანოტაცია. ცნობილია, რომ ლანდშაფტი არის გეოსისტემის გარეგანი გამოვლინება, ბუნებრივ-ტერიტორიული, ბუნებრივ-აგრარული, საცხოვრებელი და სხვა ტერიტორიული კომპლექსების ფიზიკურ-ნომიური კომპონენტების ერთობლიობა. ამ კომპონენტებში შედის: რელიეფი, მცენარეულობა, ნაწილობრივ შიდა წყლები, ადამიანის საქმიანობის შედეგები (ქალაქები, სამრეწველო ობიექტები და სხვ.).

იმავდროულად, ლანდშაფტის ცნებაც სუბიექტურია, ვინაიდან პერცეფცია, ლანდშაფტის აღქმა მჭიდრო კავშირშია კონკრეტულ ინდივიდთან ან ადამიანთა ჯგუფთან (Rougerie, Beroutchachvili, 1991; ჯამასპაშვილი, 1999, 2000, 2002). თითოეული ეპოქა თუ ეთნიკური ჯგუფი ქმნის ლანდშაფტის თავის ტიპურ „გამოსახულებას“ და იყენებს ან გარდაქმნის ამ ლანდშაფტს, ლანდშაფტის „იმიჯის“ გაბატონებული სტერეოტიპის მიხედვით (გ. ისაჩენკო, 1999). მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ამა თუ იმ ტერიტორიის ეკოლოგიური შეფასების გარდა, დიდ ყურადღებას აქცევენ ესთეტიკურად ლამაზი პეიზაჟების შექმნას. საფრანგეთში არსებობს პეიზაჟების უმაღლესი სკოლა, სადაც მხოლოდ უმაღლესდამთავრებულებს იღებენ, კურსდამთავრებულთა სადიპლომო ნაშრომი მოიცავს კონკრეტული ტერიტორიის ესთეტიკურ გაუმჯობესებას. მაგრამ ამისათვის აუცილებელია პერცეფციის საკითხების შესწავლა (French school - Landscape perception by J. Weiber, F. Brossard, J. Rougeri). ლანდშაფტების შესწავლისა და აღწერის სხვადასხვა ვარიანტები განხილულია მონოგრაფიაში, რომელიც პარიზში გამოქვეყნდა „Geosystemes et paysages“ (Rougerie et Beroutchachvili, 1991). ლანდშაფტების პერცეფცია დიდ გავლენას ახდენს ტერიტორიის ძირითად ლანდშაფტურ ეკოლოგიურ, ესთეტიკურ, რეკრეაციულ მაჩვენებლებზე და შეფასებაზე, უნიკალური ლანდშაფტების გამოვლენაზე. სტატიაში განხილულია პერცეფციის კრიტერიუმების დადგენის საკითხები. მოცემული კრიტერიუმების საფუძველზე რაჭის ლანდშაფტები დაიყო სამ ჯგუფად: მაღალი, საშუალო და დაბალი ლანდშაფტურ-ეკოლოგიური, ესთეტიკური, რეკრეაციული მნიშვნელობის ლანდშაფტებად, რომლებიც ნაჩვენებია სათანადო რუკებზე.

საკვანძო სიტყვები: პერცეფცია, ლანდშაფტური მრავალფეროვნება, კონსერვაციული გეოგრაფია.

შესავალი. პერცეფცია (ლათინური perceptio-დან, პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს წარმოდგენას, აღქმას) არის კოგნიტური (შემეცნებითი) პროცესი, რომლის დროსაც ხდება ფსიქიკაში რეალური სინამდვილის ასახვა, საგნის ან მისი ცალკეული თვისების უშუალო განცდა. პერცეფცია გეოგრაფიაში ნიშნავს ბტკ-თა (ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსი) პიროვნების, ან პიროვნებათა ჯგუფის მიერ აღქმას [1,2]. ეს ტერმინი მჭიდრო კავშირშია ტერმინ „პეიზაჟთან“. „პეიზაჟი“ - ფრანგული სიტყვაა და გეოგრაფიაში მას ზოგჯერ „ლანდშაფტის“ სინონიმადაც იყენებენ, მაგრამ ხშირად მასში ლანდშაფტის სუბიექტურ ხედვასაც გულისხმობენ. „პეიზაჟის“ განზომილებებია: სიგრძე, სიგანე, სიმაღლე, დრო და პერცეფცია. ყველა ადამიანი ერთნაირად არ აღიქვამს ლანდშაფტს. ლანდშაფტის აღქმა სუბიექტების მიერ უშუალოდ არ ხდება. იგი გადის ე.წ. „პერცეფციულ პრიზმას“ და შემდგომ აღწევს იგი სხვადასხვა სუბიექტამდე. პერცეფციული პრიზმა დაკავშირებულია ადამიანის მრავალ თვისებებზე: სქესზე, ასაკზე, გამოცდილებაზე, საცხოვრებელ ადგილზე, განათლებაზე და ა.შ. გარდა ამისა, პერცეფციაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორები: ფიზიოლოგიური; ფსიქოლოგიური; სოციალური; ეკონომიკური; პოლა-

რული (*პოლარული* - კონფლიქტური სიტუაცია, მაგ., როცა სუბიექტს მოსწონს ესა თუ ის ხედი, მაგრამ ეკონომიკური პირობები არ აძლევს მას ამის კარგად აღქმის საშუალებას).

ვინაიდან ლანდშაფტების პერცეფციას კავშირი აქვს ამა თუ იმ ლანდშაფტის სუბიექტურ აღქმასთან, ცხადია რომ მისი შესწავლა მთელ რიგ თავისებურებებთანაა დაკავშირებული. ადამიანების ფართო წრისთვის, ლანდშაფტები წარმოადგენენ „ღირებულებას“ მათი ბიოლოგიური ან კულტურული უნიკალურობის გამო. ეს შეიძლება იყოს მაღალი ბიომრავალფეროვნების, წმინდა კორომებისა, რელიგიური კულტების და სხვა ობიექტების არსებობა. ბევრ ქალაქსა და რეგიონის ეკოლოგიური მდგომარეობა მთლიანად შეიძლება განისაზღვროს მათ გარშემო არსებული ლანდშაფტების მდგომარეობით. ტრადიციული სოფლის ცხოვრების წესის მქონე ადამიანების საცხოვრებელი პირობები დიდწილად დამოკიდებულია სოფლებისა და დასახლებების მიმდებარედ არსებული ლანდშაფტების მდგომარეობისა და გამოყენების რეჟიმზე.

მასალები და მეთოდები. პერცეფციის შესწავლის სამი მეთოდი არსებობს: 1. პირდაპირი, როცა დაკვირვებები უშუალოდ ხდება; 2. არაპირდაპირი, იგი ანალიზური მეთოდია; 3. სივრცის ანალიზის მეთოდი, როდესაც თითოეულ სურათს აქვს რამდენიმე ადგილის გეგმა, მაგ: პირველ პლანზე შეიძლება იყოს ხეები, მეორეზე მინდვრები, მესამეზე მთები და ა.შ. ამ დროს ხდება ამ გეგმების ცალ-ცალკე ანალიზი. იკვლევენ ამაღლებულ თუ ჩადაბლებულ წერტილებს, გარდატეხის ხაზებს, რაკურსებს, გეგმების რაოდენობას და სხვ. როგორც წესი, ასევე გამოიყენება სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის მეთოდები.

მაგრამ ხშირად პერცეფციული შეფასება არ ეთანხმება ამ მეთოდებს, ვინაიდან ადამიანს აქვს ხუთი შეგრძნება: *მხედველობა, ყნოსვა, შეგრძნება, გემო და სმენა*. ანალიზის დროს ამ შეგრძნებებზე სხვადასხვა პროცენტი მოდის: *მხედველობის* წილად მოდის 85%, *სმენაზე* 10%, *ყნოსვაზე* 5% და ა.შ. მაგრამ მხედველობა არ არის დომინანტი ფაქტორი. მაგ: ლამაზი პეიზაჟის ყურებისას პარალელურად ვისმენთ ხმაურს, ან ვგრძნობთ ცუდ სუნს. ასეთ შემთხვევაში, პეიზაჟის სილამაზის აღქმა შემცირებულია. ამრიგად, თუ რომელიმე ფაქტორი კრიტიკულ დონეზე გადის, მაშინ აღქმის პროცესი არასწორია. პერცეფციის ექსპერტი უშუალოდ ველზე აფასებს პეიზაჟს, აწარმოებს რა გამოკითხვას პეიზაჟის შესახებ - ინტერვიუების სახით: *ინდივიდუალურად* (ამ მეთოდს ნაკლიც აქვს, რადგან სუბიექტი პეიზაჟის ხილვისას კარგავს უშუალოებას და უკვე თვით პეიზაჟითაა დანტერესებული); *ტესტების სახით* (ისმება ურთიერთსაწინააღმდეგო კითხვები და ამ დროს მეთოდი შედარებით ზუსტია, რადგან გამოირიცხება სუბიექტის მიერ საკუთარი ინტერესების გამოხატვის სურვილი).

ასევე გამოიყენება ზოგიერთი შეფასების პარამეტრი, როგორცაა ლანდშაფტურ - ეკოლოგიური შეფასება, ესთეტიკური შეფასება, რეკრეაციული შეფასება და ლანდშაფტის ან მისი შემადგენელი ნაწილის (რომელიმე ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსის) უნიკალურობა. ეს ყველაფერი საშუალებას იძლევა (გარკვეული სიფრთხილით) გამოიყენოს ზემოაღნიშნული ინდიკატორების ქულების ჯამი. ეს ქულები საშუალებას აძლევს ექსპერტს შეადაროს სხვადასხვა ბტკ-ები და გამოიყენოს გარკვეული ხარისხობრივი და რაოდენობრივი კრიტერიუმები ანალიზის დროს [1,8,9]. ამათ ემატება ე.წ. „საავტორო ქულა“, რომლის მინიჭებას ექსპერტი აკეთებს თავისი მოსაზრების გამო. ამგვარად, ლანდშაფტს, რომელიც ყველაზე მაღალ შეფასებას იღებს ექნება 10 ქულა. ლანდშაფტის პერცეფციული შეფასების დროს ყველა ლანდშაფტი იყოფა 3 ჯგუფად: 1. მაღალი 8-10 ქულა; 2. საშუალო 4-7; 3. დაბალი 3-ზე ნაკლები.

ლანდშაფტის შიდა მრავალფეროვნება კარგად არის შესწავლილი. არსებობს მონაცემები როგორც ლანდშაფტების ჰორიზონტალურ, ასევე ლანდშაფტების ვერტიკალურ და დროითი სტრუქტურებზე. ეს მახასიათებლები დეტალურადაა განხილული მონოგრაფიაში „კავკასია. ლანდშაფტები, მოდელები, ექსპერიმენტები“ [3]. მონოგრაფიებში: ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნება [6]; Geographical Perspectives on Sustainable Development (Beruchashvili N..., 2004) [11]. ლანდშაფტის კვლევის მეთოდოლოგიის საფუძვლები (ლანდშაფტურ-გეოგრაფიული და ლანდშაფტურ-გეოფიზიკური კვლევის მეთოდიკები) აღწერილია სახელმძღვანელოებში [4,5]. და სხვ. ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსის უნიკალურობის შეფასების პარამეტრი და საქართველოს ხელუხლებელი ლანდშაფტების იდენტიფიკაციის მეთოდიკა განხილულია შრომებში (ავტორი ბერუჩაშვილი ნ. ნ., 2000, ..., 2017) [10]. მნიშვნელოვან სამეცნიერო რესურსს წარმოადგენს კავკასიის ეკორეგიონის წითელ წიგნებში შეტანილ სახეობებზე


შედგენილი GIS-ები და მონაცემთა ბანკი (ავტორი ბერუჩაშვილი ლევან, 2001,...., 2017) [15]. კონსერვაციული გეოგრაფიის საკითხები განხილულია [7-9]. ასევე გამოყენებულ იქნა რიგი კარტოგრაფიული და სხვა წყაროები: მათ შორის კავკასიის ლანდშაფტური რუკა [12]; საქართველოს ლანდშაფტების (სახეების დონეზე) რუკა და GIS-ი (პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ნელი ჯამასპაშვილი, 2012)[14]; ონის რაიონის სავსე გამოკვლევათა შედეგები, ბტკ-ს მდგომარეობის აღწერის ბლანკები, აეროფოტოსურათები და სხვ.

შედეგები. თავდაპირველად კვლევის ობიექტი გახდა ონის რაიონის ტერიტორია [9]. სტატიაში ჩვენ ვერ განვიხილავთ ონის რაიონის ფიზ-გეოგრაფიული, ჰიფსომეტრიულ, ოროგრაფიულ და სხვ. მაჩვენებლებს, გეოდინამიკური პროცესებს, რომლებიც გავრცელებულია თითქმის მთელს ტერიტორიაზე (მათი განვითარება დამოკიდებულია რელიეფის მორფომეტრულ-მორფოლოგიურ თავისებურებებზე, ამგებელი ქანების ლითოლოგიაზე, სეისმო-ტექტონიკურ პირობებზე და კლიმატზე). ეგზოდინამიკური პროცესებიდან აღსანიშნავია ღვარცოფები, მეწყერები, კალაპოტის პროცესები, თოვლის ზვავები, კლდეზვავები, კარსტული და მყინვარული პროცესები.

ონის რაიონის ლანდშაფტები მიეკუთვნება ლანდშაფტების მთის ლანდშაფტების კლასს. ამ კლასის ფარგლებში გამოიყოფა ლანდშაფტის 4 ტიპი: 1. მთის ზომიერად თბილი ჰუმიდური (აქ გამოიყოფა 2 ქვეტიპი: ქვედა მთის ტყის კოლხური და საშუალომთის კოლხური); 2. მთის ზომიერად ცივი ჰუმიდური (2 ქვეტიპით: საშუალომთის მუქწიწვიანი ტყის და ზედამთის ტყის); 3. მაღალმთის მდელოს (გამოიყოფა 3 ქვეტიპი: სუბალპური, ალპური და სუბნივალური); 4. გლაციალურ-ნივალური (ქვეტიპები არ გამოიყოფა). სულ ონის რაიონში არის გამოყოფილი 10 ლანდშაფტის გვარი და 48 ლანდშაფტის სახე [3,6,7].

დიდ ინტერესს წარმოადგენს ბიომრავალფეროვნების ანალიზი. ამისათვის ჩვენ გამოვიყენეთ 33 ექპერიმენტალური ნაკვეთის მონაცემები. ამ ნაკვეთებზე ჩატარებული იქნა დეტალური ანალიზი. ამ ანალიზის დროს აღირიცხა სახეობათა საერთო რიცხვი (S). ფლორისტული სიების ანალიზის შედეგად გამოყოფილი იქნა კავკასიური ენდემები (E), სახეობები რომლებიც არის შეტანილი წითელ წიგნში (R), სახეობები რომლებიც არ არის შეტანილი წითელ წიგნში, მაგრამ თავისი ხასიათით უწყალურია (U), და ე. წ. „ძვირფასი ჯიშები“ (Z) [2,15]. ამ მაჩვენებლების საერთო ჯამი გვაძლევს ბიომრავალფეროვნების ინდექსს (IBD1): $IBD1=S+E+R+U+Z$ [2]. ეს მონაცემები შეყვანილ იქნა სპეციალურ ცხრილში და ამ ცხრილის საფუძველზე გაკეთდა ბიომრავალფეროვნების რუკა. ონის რ-ის მაქსიმალური ბიომრავალფეროვნება ახასიათებს ზედამთის ტყის და მაღალმთის სუბალპურ ლანდშაფტებს. ყველაზე დაბალი ბიოლოგიური მრავალფეროვნების მაჩვენებელი (25-ზე ნაკლები) დაკავშირებულია საშუალო მთის მუქწიწვიანი ტყის ლანდშაფტებთან. საშუალო ბიოლოგიური მრავალფეროვნება ახასიათებს რაჭის ქვაბულის ქვედა მთის ტყის და საშუალო მთის წიფლნარი ტყის ლანდშაფტებს (30-დან 50-ის ფარგლებში მერყეობს).

ლანდშაფტებს მრავალი *ლანდშაფტურ-ეკოლოგიური ფუნქცია* ახასიათებს [9,11,13]. ამ ფუნქციათაგან ონის რაიონისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია ტყეების მიერ ჟანგბადის გამოყოფა და ეროზია-საწინააღმდეგო ფუნქცია. რაც უფრო მძლავრია ტყის საფარი, მით უფრო ნაკლებია ეროზიის საშიშროება. რაც უფრო დიდია ბიომასა და უფრო დიდი დაქანება ახასიათებს ფერდობს მით უფრო მაღალია ტყის ლანდშაფტის *ლანდშაფტურ-ეკოლოგიური მნიშვნელობა* და პირიქით, რაც დაბალია ფერდობის დაქანება და ფიტომასის რაოდენობა, მით უფრო დაბალია ლანდშაფტის *ლანდშაფტურ-ეკოლოგიური მნიშვნელობა*. ლანდშაფტურ-ეკოლოგიური მნიშვნელობა დაყოფილი იქნა 3 დიდ ჯგუფად: 1. მაღალი ლანდშაფტურ-ეკოლოგიური მნიშვნელობა; 2. საშუალო ლანდშაფტურ-ეკოლოგიური მნიშვნელობა; 3. დაბალი ლანდშაფტურ-ეკოლოგიური მნიშვნელობა.



როგორც ლანდშაფტურ-ეკოლოგიური შეფასების რუკიდან (ნახ.1.) ჩანს, ყველაზე მაღალი ლანდშაფტურ - ეკოლოგიური მნიშვნელობა ახასიათებს საშუალო მთის მუქწიწვიან ტყეებს, კერძოდ უწერა-ნოწარულა-შოვის მიდამოებს.

- | | | |
|---|----|---------|
| ⬜ | 1. | დაბალი |
| ▨ | 2. | საშუალო |
| ▧ | 3. | მაღალი |

ნახ.1. ონის რაიონი. ლანდშაფტურ-ეკოლოგიური მნიშვნელობის რუკა.

ასევე მაღალი მნიშვნელობა ახასიათებს საკაოს საშუალო მთის მუქწიწვიან და წიფლნარ ტყეებს, ფხონისა და ჯრუჭულას სათავეების ლანდშაფტებს. ზედა მთის ტყის ლანდშაფტში, ბრილის და შოვის მიდამოები მიეკუთვნება იმ ლანდშაფტებს, რომელთაც აქვთ ასევე მაღალი მნიშვნელობა. შქმერი-მრავალძაღვის ზედამთის ლანდშაფტებს კი, იმის გამო, რომ დამრეცი ფერდობები, პლატოები და დეპრესიები ახასიათებს, აქვთ დაბალი ლანდშაფტურ-ეკოლოგიური მნიშვნელობა. საშუალო მთის წიფლნარ ტყის ლანდშაფტებს და რაჭის ქვაბულის ლანდშაფტის დიდ ნაწილს ახასიათებს საშუალო ლანდშაფტურ-ეკოლოგიური მნიშვნელობა. დაბალი ლანდშაფტურ-ეკოლოგიური მნიშვნელობა აქვს რაჭის ქვაბულის იმ ლანდშაფტებს, რომლებსაც ახასიათებთ დამრეცი ფერდობები, მცირე ბიომასა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სიჭარბე.

ლანდშაფტების ესთეტიკური შეფასება მჭიდროდაა დაკავშირებული ცალკეული ადამიანების ან სოციალური ჯგუფების პერცეფციასთან (აღქმასთან). ლანდშაფტების პერცეფციის დროს ჩვენ ვიყენებთ იმ კრიტერიუმებს, რომლებიც მიღებულია ლანდშაფტების ესთეტიკური შეფასების დროს. ეს კრიტერიუმები შემდეგია: 1. ლანდშაფტის ჩაკეტილობა-გახსნილობა. ჩაკეტილი ანუ დახურული ლანდშაფტის ქვეშ იგულისხმება ისეთი ტერიტორია, სადაც ცოტაა ხილვადობის წერტილები. ღია ლანდშაფტის ქვეშ კი იგულისხმება, პირიქით ისეთი ლანდშაფტები, საიდანაც ხილვადობა მაღალია; 2. ლანდშაფტის შიდა მრავალფეროვნება. ის ტერიტორია სადაც მოკლე მანძილზე სხვადასხვა ფაციესები გვხვდება უფრო მაღალ ესთეტიკურ შეფასებას იღებს, ვიდრე ტერიტორია სადაც ერთი მონოტონური ფაციესი ჭარბობს; 3. ესთეტიკური სრულყოფილება. მაღალი ხეებისაგან შემდგარი ტყეები ესთეტიკურად უფრო მოსაწონია, ვიდრე ტანბრეცილა დერივატები. ლანდშაფტის ესთეტიკური შეფასების დროს ყველა ლანდშაფტი იყოფა 3 ჯგუფად: 1. მაღალი შეფასება 8-10 ქულა; 2. საშუალო შეფასება 4-7 ქულა; 3. დაბალი შეფასება 3-ზე ნაკლები. ონის რაიონის მაღალი ესთეტიკური შეფასება ახასიათებს მთიანი რაჭის ლანდშაფტებს და ფხონითამარდედოფლის მიდამოებს. მთის რაჭაში გამონაკლისს წარმოადგენს ღები-ჭიორას მიდამოები, სადაც არის გაბატონებული ძლიერ ეროდირებული ფერდობები, ტყის დერივატებით და ა.შ.

ლანდშაფტის რეკრეაციული შეფასების დროს მხედველობაში ღებულობენ შემდეგ პარამეტრებს: 1. კურორტების ქსელს და ამ კურორტების ხასიათსა და ტევადობის ხასიათს; 2. კურორტების შექმნის პოტენციალურ შესაძლებლობას; 3. ლანდშაფტის ესთეტიკურ შეფასებას; 4. გზების და ბილიკების არსებობას; 5. კულტურული მემკვიდრეობის ან ბუნებრივი ძეგლების არსებობას და მათ პოპულარობას.

მოცემული კრიტერიუმების საფუძველზე რაჭის ლანდშაფტები დაიყო სამ ჯგუფად: მაღალი, საშუალო და დაბალი რეკრეაციული მნიშვნელობის ლანდშაფტები, რომლებიც ნაჩვენებია სათანადო რუკაზე.

ლანდშაფტების უნიკალურობის შეფასებას ექსპერტული ხასიათი აქვს და დამახასიათებელია იმ ტერიტორიებისათვის, რომლისთვისაც ხდება უნიკალურობის განსაზღვრა. ონის რაიონის ლანდშაფტების უნიკალურობის დროს ასეთ ტერიტორიად მიჩნეული იყო კავკასია. ამგვარად, ლანდშაფტების უნიკალურობა ფასდებოდა კავკასიის ლანდშაფტთა ფონზე. რაც უფრო იშვიათია ის ლანდშაფტი, რომელიც გვხვდება ონის რაიონში (კავკასიის მასშტაბით), მით უფრო უნიკალურია იგი და პირიქით, რაც უფრო ფართოდაა გავრცელებული ლანდშაფტები კავკასიაში, მით უფრო ნაკლებად უნიკალურია იგი. ონის რაიონში საკმაოდ კარგად არის წარმოდგენილი ხელუხლებელი ტყეები [10]. ისინი წარმოადგენენ ქვეყნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოტენციალს და მათ უნდა მოვეპყრათ განსაკუთრებული პასუხისმგებლობით. ლანდშაფტების უნიკალურობის ექსპერტული შეფასება ნაჩვენებია სპეციალურ რუკაზე.

დასკვნები. საქართველოს ცალკეული რეგიონების ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების შესწავლა ძალზე მნიშვნელოვანია. ლანდშაფტების პერცეფცია დიდ გავლენას ახდენს ძირითად ლანდშაფტურ-ეკოლოგიურ, ესთეტიკურ, ტერიტორიის რეკრეაციულ შეფასებაზე, უნიკალური ლანდშაფტების გამოვლენაზე. იმის მიხედვით, თუ როგორია ლანდშაფტთა მდგრადობის ხარისხი, მათში ცალკეულ პროცესთა მიმდინარეობის ხასიათი, პროდუქტიულობის სტრუქტურა, ფუნქციონირების და დინამიკის თავისებურებანი, დგინდება ლანდშაფტის მიერ ამათუიმ სოციალურ-ეკონომიკური, გარემოს დაცვითი და სხ. ფუნქციების შესრულების შესაძლებლობა. თითოეულ ლანდშაფტისთვის შედგენილ იყო სპეციალური ბარათი, რომელშიც შედიოდა გამოკითხვა პეიზაჟის (ლანდშაფტის) შესახებ ინტერვიუებისა და ტესტების სახით. შედგენილ იქნა ონის რაიონის კომპიუტერული რუკები და მოხდა მისი ანალიზი. შემუშავდა ხარისხობრივი და რაოდენობრივი პერცეფციის შესწავლის კრიტერიუმები და მეთოდები.

კონკრეტული ლანდშაფტისთვის, ეკოლოგიური მდგომარეობის კომპლექსური შეფასება პერცეფციის მეთოდების გამოყენებით კიდევ ერთი ნაბიჯია საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთობის რთული პრობლემების გადაჭრისკენ.

ლიტერატურა

- [1] Beroutchachvili N., Rougerie G. Geosystemes et Paysages. // Paris, Armand Colin, 1991, 302 p.
- [2] ბერუჩაშვილი ნ., ჯამასპაშვილი ნ. ბიომრავალფეროვნების გეოგრაფიული ანალიზი. // ISSEP, სოროსის საგანმანათლებლო ჟურნალი, თბილისი, 1999, გვ. 11-28
- [3] Беручашвили Н.Л. Кавказ: Ландшафты, Модели, Эксперименты. // UNEP, GRID Arendal, WORLD BANK, Тбилиси, Изд. ТГУ, 1995, 314 с.
- [4] Беручашвили Н.Л., Жучкова В.К. Методы комплексных физико-географических исследований. // Москва, Издательство МГУ, 1997, 320 с.
- [5] Беручашвили Н.Л. Методика ландшафтно-геофизических исследований и картографирования состояний природно-территориальных комплексов. // Тбилиси, Изд-во ТГУ, 1983, 199 с.
- [6] ბერუჩაშვილი ნ. ლ. საქართველოს ლანდშაფტების მრავალფეროვნება და მსოფლიოს ლანდშაფტური მრავალფეროვნების გეოგრაფიული ანალიზი. // წიგნი: ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნება. თბილისი, WWF-WB, 2000, გვ. 221-250; გვ. 277-294.
- [7] Джамаспашвили Н. Ландшафтное разнообразие центральной части Малого Кавказа. // в сб. Биологическое и ландшафтное разнообразие Грузии, Тб., Изд. WWF-WB, 2000, стр. 179-194.
- [8] Джамаспашвили Н. Некоторые вопросы Консервационной Географии. // Кавказский Географический Журнал, Тбилиси, изд. Универсал, №1, 2002, стр. 116 - 125
- [9] Беручашвили Н.Л., Джамаспашвили Н.Ш. Лесостроительные работы и «Зеленая карта». // Кавказский географический журнал, Тб., изд. Универсал, № 1, Изд. Универсал, 2002, стр. 74-82
- [10] Beruchashvili N. N. Identification and mapping Virgin Landscapes in Georgia. // In: Proc. of International Conference Landscape Dimension of Sustainable Development. Tbilisi, Publishing TSU, 2017, pp. 280-286.
- [11] Beruchashvili N., Chauke M., Sanchez-Crispin A. Geographical perspectives on Sustainable Development. // IGU, Rome., Publishing Rome, Moscow, Beijing, 2004, 64 p. (and CD in English, Spanish, Chinese language)
- [12] Беручашвили Н.Л. Ландшафтная карта Кавказа. // Тб., изд. ТГУ, 1979, масштаб 1:1 000000, 2 П. Л.

- [13] Jamaspashvili N., Maisuradze R., Seperteladze Z., Beruchashvili N.N., Inashvili N., Khardziani T. Book: Georgia Landscape Map and GIS., Sh. Rustaveli National Scientific Foundation. // Tbilisi, Publishing TSU, 2012, 488 p. (in English and Georgian)
- [14] Беручашвили Н.Л. Этология ландшафта и картографирование состояний природной среды. // Учебник: У., Тбилиси: Изд-во ТГУ, 1989, 196 с.
- [15] Beruchashvili L.N. Data Bank and GIS of the Red Book Species of the Caucasus Region. // In: Proc. International Conference Landscape Dimension of Sustainable Development, Tbilisi, Publishing TSU, 2017, pp. 377-384.

PERCEPTION OF LANDSCAPES: PROSPECTIVE DIRECTION IN CONSERVATION GEOGRAPHY

Jamaspashvili N.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi, Georgia

neli.jamaspashvili@tsu.ge

Abstract. It is known that the landscape is an external manifestation of the geosystem, a set of physiognomic components of natural-territorial, natural-agrarian, residential and other territorial complexes. Such components include: relief, vegetation, partially internal waters, results of human activity (cities, industrial objects, etc.). At the same time, the concept of landscape is also subjective, since perception, & perception of landscape is closely related to a specific person or group of people (Rougerie, Beroutchachvili, 1991; Jamaspashvili, 1999, 2000, 2002). Each era or ethnic group creates its own typical "image" of the landscape and uses or transforms this landscape according to the established stereotype of the "image" of the landscape (G. Isachenko, 1999).

For a wide range of people, landscapes represent "value" because of their biological or cultural uniqueness. It can be the presence of high biodiversity, sacred groves, religious cults and other objects. The ecological condition of many cities and regions can be completely determined by the condition of the surrounding landscapes. The living conditions of people with a traditional rural way of life largely depend on the condition and use of the landscapes surrounding the villages and settlements.

In highly developed countries, in addition to the ecological evaluation of this or that area, great attention is paid to the creation of aesthetically beautiful landscapes. In France, there is a high school of landscapes, where only high school graduates are accepted, the diploma thesis of the graduates includes the aesthetic improvement of a specific area. But for this it is necessary to study perception issues (French school - Landscape perception by J. Weiber, F. Brossard, J. Rougeri). Various options for the study and description of landscapes are discussed in a monograph published in Paris "Geosystemes et paysages" (Rougerie et Beroutchachvili, 1991). The perception of landscapes has a great influence on the main landscape ecological, aesthetic, recreational indicators and evaluation of the territory, the emergence of unique landscapes. The article discusses the issues of establishing perception criteria.

Depending on the degree of sustainability of landscapes, the nature of individual processes in them, the structure of productivity, the peculiarities of functioning and dynamics, the ability of the landscape to perform socio-economic, environmental protection and other functions is determined.

For each landscape, a special form was drawn up, which included a survey about the landscape in the form of interviews and tests. Based on the given criteria, the landscapes of Racha were divided into three groups: landscapes of high, medium and low landscape-ecological, aesthetic, recreational value, which are shown on appropriate maps.

Key words: perception, landscape diversity, conservation geography.

**ლანდშაფტის ენერგეტიკა – ბუნებრივი გარემოს ფუნქციონირებისა და რაციონალური
 ბუნებატესარგებლობის ძირითადი გეოფიზიკური მახასიათებელი**

სეფერთელაძე ზ., დავითაია ე., ალექსიძე თ., რუხაძე ნ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
 zurab.seperteladze@tsu.ge


ანოტაცია. თანამედროვე ფიზიკური გეოგრაფიის და კერძოდ, ლანდშაფტმცოდნეობის განსაკუთრებით დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა, პირველ რიგში, გამოიხატება ლანდშაფტების სარესურსო პოტენციალის გამოვლენასა და შესწავლაში, ასევე გარემოს ოპტიმიზაციაში. სარესურსო პოტენციალი კი თავის მხრივ, დიდადა დამოკიდებული ბტკ-ებში ნივთიერებისა და ენერგიის ცვლის ბალანსზე, ანუ ლანდშაფტის ენერგეტიკაზე. ამ შემთხვევაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების ფუნქციონირების შესწავლა. მისი მეშვეობით შესაძლებელია და შედარებით ადვილად აიხსნება, მოდელირდება და რაც მთავარია, პროგნოზირდება ბტკ-ში მიმდინარე მრავალი რთული პროცესი.

საკვანძო სიტყვები. ლანდშაფტის ენერგია, ოპტიმიზაცია, მზის რადიაცია, ენერგეტიკული ბალანსი.

ლანდშაფტის ფუნქციონირებას თან ახლავს ენერგიის წარმოქმნა, გარდაქმნა, დაგროვება და გამოთავისუფლება. ენერგიის პირველადი წყაროები ლანდშაფტში ხვდება გარედან – კოსმოსიდან და მიწის წიაღიდან. მზის ენერგიის მეშვეობით ხორციელდება შიდაცვლის პროცესები ლანდშაფტში, ტენზიონის, ტრანსპირაციისა და ბიოლოგიური მეტაბოლიზმის ჩათვლით [5]. უნდა ითქვას, რომ ლანდშაფტში მიმდინარე ყველა პროცესი და ასევე, კომპონენტორის ორგანიზაციული კავშირები, პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებულია მზის ენერგიის ტრანსფორმაციასთან, რაც ბტკ-ებში მიმდინარე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროცესია, რომელიც თავის თავში მოიცავს რადიაციულ და სითბურ ბალანსს, ასევე ალბედოს. ისინი ლანდშაფტის ენერგეტიკის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი მახასიათებლებია, რასთანაც არის დაკავშირებული ბტკ-ს ფუნქციონირების წლიური, სეზონური და დეკადური ხასიათი [2].

რაც შეეხება რადიაციული ბალანსის სიდიდეს, მზის ენერგიის ის ნაწილია, რომელიც რჩება ბტკ-ში და იხარჯება მასში მიმდინარე პროცესებზე, როგორცაა: სითბოცვლა ნიადაგთან, ტურბულენტური თბოცვლა ატმოსფეროსთან, სითბოს ხარჯვა აორთქლებაზე, ფოტოსინთეზზე და სხვ. ბუნებრივია, რომ ეს მაჩვენებელი განსხვავდება ბუნებრივი ზონებისა და ცალკეული რეგიონების მიხედვით (სურ.1). ის მატულობს მაღალი

განედებიდან დაბლისაკენ და დაბალ-მთიდან მაღალმთისაკენ. ამის ნათელი დადასტურებაა ე.წ. ტროფიკული პირამიდა, სადაც ნაჩვენებია, თუ როგორ იხარჯება მზის ენერგია სხვადასხვა სახის ცოცხალ ორგანიზმზე – რაც უფრო მაღლა ავდივართ ამ პირამიდაში, მით უფრო ნაკლებ ენერგიას მოიხმარს ბტკ ფუნქციონირებისათვის.




სურ. 1.

ლანდშაფტის ფუნქციონირებისას რადიაციულ ბალანსის დიდი ნაწილი იხარჯება ევაპოტრანსპირაციაზე ანუ, ლანდშაფტის მცენარეული და ნიადაგური კომპონენტების ზედაპირიდან წყლის ჯამურ აორთქლებაზე, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის ძირითადად ტენზრუნვასა და ჰაერის გათბობაზე დახარჯული ენერგიაა. ეს ორი პარამეტრი განსხვავებულია ლანდშაფტების მიხედვით, რაც გამოხატულია ზონალობით, კერძოდ, ჰუმიდურ ლანდშაფტებში რადიაციული ბალანსის დიდი ნაწილი იხარჯება ევაპოტრანსპირაციაზე, ხოლო არიდულ ლანდშაფტებში ატმოსფეროში სითბოს ტურბულენტურ ნაკადზე. ენერჯის დიდი რაოდენობის ხარჯვა ტრანსპირაციაზე, აიხსნება ეფექტურობის მიზეზი და ეს იწვევს ლანდშაფტების ბიოლოგიური პროდუქტულობის დაქვეითებასა და მის ლიმიტირებას [დავი-თაია ე., სეფერთელაძე ზ., 2014].

უდავოა, მზის ენერჯის ტრანსფორმაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბიოტაში, თუმცა ფოტოსინთეზის ბიოქიმიურ რეაქციაზე იხარჯება მხოლოდ 0.5% (ჯამური რადიაციის მთლიანი ნაკადიდან), ხოლო 1.3% – რადიაციული ბალანსის მთლიანი რაოდენობიდან. ფოტოსინთეზისას გამოიყენება ე.წ. ფოტოსინთეზურად აქტიური რადიაცია (ფარ), რაც ჯამური რადიაციის 45%-ს შეადგენს. მცენარეული საფარი შთანთქავს ფარ-ის 90%-ს, თუმცა მისი მნიშვნელოვანი ნაწილი იხარჯება ტრანსპირაციაზე და მხოლოდ 0.8-1% ხმარდება უშუალოდ ფოტოსინთეზს. ფოტოსინთეზის მარგი ქმედების კოეფიციენტი (მქკ) იცვლება ბუნებრივი ზონების მიხედვით: იგი ყველაზე მაღალია ეკვატორზე, სადაც არის სითბოსა და ტენის ოპტიმალური თანაფარდობა, ხოლო უმცირესია – უდაბნოებსა და პოლარულ მხარეებში. მაღალია ეს კოეფიციენტი შავიზღვისპირეთის ნოტიო სუბტროპიკებშიც – 2%-მდე. ფოტოსინთეზზე დახარჯული ენერჯის დაახლოებით ნახევარი გამოთავისუფლდება პროდუცენტების სუნთქვისას, დანარჩენი ნაწილი კი ინახება სუფთა პირველადი პროდუქციის სახით. ფიტომასაში აკუმულირებული ენერჯის საშუალო რაოდენობა (1კგ მშრალი ნივთიერებიდან) – 18.5 კჯოულის ტოლია და იზრდება დაბალი განედებიდან მაღლისაკენ.

ამგვარად, ლანდშაფტების ფუნქციონირების ინტენსივობა განისაზღვრება რამდენიმე ენერგეტიკული პარამეტრით:

1. კლიმატის ბიოლოგიური ეფექტურობის მაჩვენებელი (Tk), რომელიც განისაზღვრება, 10⁰-ზე მაღალ ტემპერატურათა ჯამისა და 1-ის ტოლ დანესტიანების კოეფიციენტით
2. ტრანსპირაციაზე დახარჯული სითბოს რაოდენობა (E)
3. ფიტომასის პროდუქციის პირველადი სიდიდე (P)
4. მცენარის წლიური მოთხოვნა აზოტსა და ნაცრის ელემენტებზე (MN).



რუკა

ლანდშაფტის ენერგეტიკული მაჩვენებლების მულტიფაქტორული ანალიზის შედეგად განხორციელდა დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ-ჰუმიდური ზონის აგროეკოსისტემური რანჟირება და შემუშავებულ იქნა მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები [4, 5], რის საფუძველზეც ფეიხოსას კულტურის გავრცელების დღემდე მიღებულ [3] ორ აგროკლიმატურ ზონას (30-200 მ; 200-400 მ), დაემატა მესამე ზონა - 400-700 მ დიაპაზონში (რუკა 1), რითაც გაიზრდება ფეიხოსას გავრცელების არეალი და რაც მნიშვნელოვანია, ეს ხელს შეუწყობს ამ კულტურის მაღალმოსავლიანობას.

ასე რომ, ლანდშაფტში ურთიერთზემოქმედების არსი შემოიფარგლება არა მხოლოდ კომპონენტთა, ან მომიჯნავე კომპლექსებს შორის ტიპოლოგიურ დონეზე ნივთიერებისა და ენერჯის წრებრუნვით, არამედ ნივთიერ-ენერჯეტიკული ნაკადების ტრანსფორმაციით, რაც იწვევს სხვადასხვა საპასუხო რეაქციებს გეოსისტემის ყოველ ბლოკში, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი იძენს ახალ თვისებებს.

ლიტერატურა

- [1] დავითაია ე., სეფერთელაძე ზ. ლანდშაფტმცოდნეობა და ლანდშაფტურ-ეკოლოგიური პრობლემები. // თბილისი, 2014, გვ. 128-134.
- [2] Беручашвили Н. Л. Некоторые вопросы структуры функционирования природных комплексов. // В кн. Ландшафтоведение. Тб., 1972, с. 26-32.
- [3] Meladze G., Meladze M. Agroclimatic Resources of Western Regions of Georgia. // Tb., 2012, pp. 114-123.
- [4] Seperteladze Z., Davitaia E., Alpenidze M., Gaprindashvili G., Maisuradze R., Memarne G., Khalvashi N., Kedelidze N., Aleksidze T., Rukhadze N., Khardziani T. Ranking of Feijoa (FEIJOA Sellowiana) in Subtropical Humidified Zone of Adjara and Forest Ecosystem by Multiple-Factor Approach. // Open Journal of Forestry, 11, 2021, pp. 1-13.
- [5] Seperteladze Z., Davitaia E., Kikvadze T. Natural Anthropogenic Mining Complexes and the Problems of their Optimization. // Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, vol. 175, no 3, 2007, pp. 64-66.
- [6] Seperteladze Z., Davitaia E., Aleksidze T., Memarne G., Khalvashi N., Gaprindashvili G. Natural Environment Zoning of West Georgia for Identifying The Perspective Regions of Actinidia Chinensis Planch Culture Spreading. // Global Journal for Research Analysis, Volume 3., Issue 6, June 2015, pp. 82-86.

LANDSCAPE ENERGY – THE MAIN GEOPHYSICAL CHARACTERISTIC OF THE FUNCTIONING OF THE NATURAL ENVIRONMENT AND THE RATIONAL USE OF NATURE

Seperteladze Z., Davitaia E., Aleksidze T., Rukhadze N.

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi, Georgia
zurab.seperteladze@tsu.ge*

Abstract. The particularly great practical importance of modern physical geography and, in particular, landscape science, is first of all manifested in the detection and, study of the resource potential of landscapes, as well as in the optimization of the environment. The resource potential, on the other hand, greatly depends on the balance of substance and energy exchange in the natural resources, i. e. the energy of the landscape. In this case, one of the important things is to study the functioning of natural-territorial complexes (NTC). Through it, it is possible and relatively easy to explain, model and, most importantly, predict many complex processes taking place in NTC, including the role of landscape energy balance in increasing the productivity and yield of agro - landscapes, which was the first attempt to research this problem in Georgia.

Keywords. Landscape Energy, Optimization, Solar Radiation, Energy Balance

**მ. ნოდისას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის ზღვისა და ატმოსფეროს დინამიკის
მოდელირების საქართველოში ჩატარებული კვლევების შესახებ (2011-2023)**

დემეტრაშვილი დ.

*მიხეილ ნოდისას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი, თსუ, თბილისი, საქართველო
demetr_48@yahoo.com*

ანოტაცია. წარმოდგენილია მიხეილ ნოდისას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტის ზღვისა და ატმოსფეროს დინამიკის მათემატიკური მოდელირების სექტორში 2011-2023 წწ.-ში ჩატარებული სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების მოკლე მიმოხილვა. სექტორში შემუშავებულია არასტაციონარული მათემატიკური მოდელები, რომლებიც აღწერენ შავ ზღვაში, ატმოსფეროში, ნიადაგსა და ზედაპირულ წყლებში მიმდინარე ჰიდროთერმოდინამიკურ და მინარევების გავრცელების პროცესებს. ზღვისა და ატმოსფეროს დინამიკის მოდელებს საფუძვლად უდევს ზღვისა და ატმოსფეროს ჰიდროთერმოდინამიკის განტოლებათა სრული სისტემები, ხოლო მინარევების გავრცელების მოდელებს - ადვექცია-დიფუზიის განტოლება არაკონსერვატიული მინარევისათვის. ნიადაგში თხევადი ნივთიერების ინფილტრაციის განტოლება საფუძვლად უდევს ნიადაგში გახსნილი ნივთიერების გავრცელების მოდელს. მოყვანილია აღნიშნული მოდელების კომპიუტერული რეალიზაციის ზოგიერთი შედეგი.

საკვანძო სიტყვები: განტოლებათა სისტემა, რიცხვითი მოდელი, დინების ველი, მინარევების გავრცელება.

2011-2023 წწ.-ში მ. ნოდისას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტის ზღვისა და ატმოსფეროს მოდელირების სექტორში მიმდინარეობდა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:


- შავ ზღვაში მიმდინარე ჰიდროდინამიკური პროცესების მათემატიკური მოდელირება;
- შავი ზღვის რეგიონული პროგნოზის სისტემის განვითარება და სრულყოფა;
- კავკასიის რეგიონის ატმოსფეროში მიმდინარე ჰიდროთერმოდინამიკური პროცესების შესწავლა მათემატიკური მოდელირების საფუძველზე;
- შავ ზღვაში, ატმოსფეროში, ნიადაგსა და ზედაპირულ წყლებში სხვადასხვა მინარევების გავრცელების კანონზომიერებათა შესწავლა მათემატიკური მოდელირების საფუძველზე.

სექტორში შემუშავებულია შავი ზღვის დინამიკის მოდელის ორი ვერსია: ზღვის აუზის მასშტაბის მოდელი 5 კმ სივრცითი გარჩევისუნარიანობით [1] და მაღალი გარჩევისუნარიანი რეგიონული მოდელი 1 კმ გარჩევისუნარიანობით [2]. ორივე მოდელს საფუძვლად უდევს ოკეანის ჰიდროთერმოდინამიკის განტოლებათა სრული სისტემა, რომლის ამოხსნა ხორციელდება დიფერენციალურ განტოლებათა სასრულ-სხვაობითი მეთოდების გამოყენებით, კერძოდ, გახლეჩის ორციკლიანი მეთოდით [3].

აუზის მასშტაბის შავი ზღვის დინამიკის მოდელისა და კლიმატური მონაცემების გამოყენებით სექტორში შესრულებულია გამოკვლევათა ფართო ციკლი შავი ზღვის ჰიდროლოგიური ველების (ტემპერატურა, მარილიანობა, სიმკვრივე) ვერტიკალური სტრუქტურის შესწავლის მიზნით ზღვის ზედა ტურბულენტური შერევის ფენაში [4]. ესაა ფენა, სადაც ინტენსიური ტურბულენტური შერევის გავლენით ძირითადი ჰიდროლოგიური პარამეტრები განაწილებულია ერთგვაროვნად ვეტიკალზე. ამ ფენის სისქე განიცდის სეზონურ ცვლილებებს ფართო დიაპაზონში და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ზღვა-ატმოსფეროს ურთიერთქმედებაში. ამ თვალსაზრისით ზედა შერეული ფენის ჰიდროლოგიური სტრუქტურისა და მისი ცვალებადობის შესწავლა მნიშვნელოვან მეცნიერულ ღირებულებას წარმოადგენს. ჩატარებული გამოკვლევების შედეგად დადგენილია შერეული ფენის ზოგიერთი ჰიდროლოგიური

თავისებურება წლის სხვადასხვა სეზონებისათვის. კერძოდ, დაფიქსირდა თერმოჰალინური ზემოქმედების ძირითადი როლი შავი ზღვის ვერტიკალური ცირკულაციის ფორმირებაში 100 მ სისქის ზედა ფენაში გარდამავალი სეზონის - გაზაფხულის კლიმატური პირობების შესაბამისად, დაზუსტებულია შავი ზღვის ზედა შერეული ტურბულენტური ფენის სისქე და ფიზიკური თავისებურებები, ზამთრის ცივ სეზონში (თებერვლის შუა რიცხვებში) და ა. შ.

ევროკავშირის საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ პროექტებში ARENA(2003-2006) და ECOOP (2007-2010) სექტორის მონაწილეობის შედეგად, მაღალი გარჩევისუნარიანი შავი ზღვის დინამიკის რეგიონული მოდელი საფუძვლად დაედო მოკლევადიან საზღვაო რეგიონული პროგნოზის სისტემას შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილისათვის, რომელიც მოიცავს შავი ზღვის საქართველოს სექტორსა და მიმდებარე აკვატორიას [1]. რეგიონული პროგნოზის სისტემის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ძირითადი 3-D ჰიდროფიზიკური ველების - დინების, ტემპერატურის, მარილიანობის 3 დღიანი პროგნოზი 1 კმ სივრცითი გარჩევისუნარიანობით, ხოლო საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში - ნავთობისა და სხვა მინარევების გავრცელების პროგნოზიც.




ნახ. 1. ზღვის ზედაპირული დინების პროგნოზული ველები 00:00 GMT, 2019 წელს: 27 მაისს (ა) და 12 ივნისს (ბ).

ილუსტრაციის მიზნით, ნახ.1-ზე მოყვანილია ზღვის ზედაპირული დინების პროგნოზული ველები 2019 წლის 27 მაისს და 12 ივნისს, 72 სთ შემდეგ პროგნოზის საწყისი მომენტიდან. ნახაზიდან ნათლად ჩანს, რომ ამ დღეების ცირკულაციის მთავარი ელემენტია ბათუმის ანტიციკლონური გრივალი, რომლის სივრცითი მასშტაბი დაახლოებით 100-120 კმ-ია.

სექტორში ინტენსიურად მიმდინარეობს კვლევები კავკასიის ტერიტორიაზე ატმოსფეროს დინამიკისა და მავნე მინარევების გავრცელების შესწავლის მიზნით. ამ მიზნით, შემუშავებულია ატმოსფეროს დინამიკის არასტაციონარული სივრცითი მოდელი [5], რომელსაც საფუძვლად უდევს ატმოსფეროს ჰიდროთერმოდინამიკის განტოლებათა სრული სისტემა ჰიდროსტატიკურ მიახლოებაში. მოდელი ითვალისწინებს ძირითად ფიზიკურ ფაქტორებს, მათ შორის კონდენსაციურ და ღრუბელთა წარმოქმნის პროცესებს. ატმოსფეროში მინარევების გავრცელების მიზნით, განტოლებათა სისტემაში ჩართულია მინარევების გადატანა-დიფუზიის განტოლება. შემუშავებული მოდელირების სისტემის საფუძველზე ჩატარებულია გამოკვლევების ფართო სერია, რის შედეგადაც მიღებულია შედეგები, რომლებსაც მნიშვნელოვანი სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულება გააჩნიათ.

რიცხვითი მოდელირებით და ჩატარებული ექსპერიმენტული გაზომვის მონაცემების გამოყენებით გამოკვლეულია ქ. თბილისის ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის მიერ წარმოშობილი მტვრის ცვლილების კინემატიკა სხვადასხვა მეტეოროლოგიური სიტუაციების დროს. შესწავლილია მტვრის სივრცული განაწილების დღე-ღამური სურათი [6, 7].



ნახ. 2. მტვრის კონცენტრაციის (მგ/მ³) და ქარის სიჩქარის (მ/წმ) ველები სამხრეთის სუსტი ფონური ქარის დროს მიწის ზედაპირიდან 2 და 100 მ სიმაღლეზე, როცა t = 18, 21 და 24 სთ.

ილუსტრაციის მიზნით, ნახ. 2 -ზე ნაჩვენებია რიცხვითი გამოთვლებით მიღებული ქარის სიჩქარისა და მტვრის კონცენტრაციის ველების სივრცით-დროითი განაწილება მიწის ზედაპირიდან 2 მ და 100 მ სიმაღლეებზე t = 18, 21 და 24 სთ-ზე სამხრეთის სუსტი ფონური ქარის დროს.

სექტორში გამოკვლევათა მნიშვნელოვანი ნაწილი მიძღვნილია ნიადაგსა და ზედაპირულ წყლებში მიმდინარე პროცესების შესწავლისადმი [8, 9]. ნიადაგში თხევადი ნივთიერების ინფილტრაციის განტოლების გამოყენებით დამუშავებულია სხვადასხვა ტიპის ნიადაგში გახსნილი ნივთიერების გავრცელების მათემატიკური მოდელი. კახეთის დამლაშებული ბიციობიანი ნიადაგისათვის მოდელირებული და შესწავლილია მარილიანობის ცვლილება მასში შეტანილი სორბენტის საშუალებით. გადატანა-დიფუზიის განტოლების გამოყენებით დამუშავებულია საქართველოს მდინარეებში დამაბინძურებელი ნივთიერებების გავრცელების 3D მათემატიკური მოდელი, რის საფუძველზეც ჩატარებულია გამოკვლევები მდ. მტკვარში, ცხენისწყალში, ხრამში და სხვა მდინარეებში ზოგიერთ მინარევთა გავრცელების შესწავლის მიზნით.

მაღლიერება. კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი FR-22-365].

ლიტერატურა

- [1] Kordzadze A.A., Demetrashvili D.I., Surmava A.A. Numerical modeling of hydrophysical fields of the Black Sea under the conditions of alternation of atmospheric circulation processes. // Izvestiya RAS, Atmospheric and Oceanic Physics, t. 44, № 2, 2008, pp. 213-224. <https://link.springer.com/content/pdf/10.1134/S0001433808020096.pdf>.
- [2] Kordzadze A.A., Demetrashvili D.I. Operational forecast of hydrophysical fields in the Georgian Black Sea coastal zone within the ECOOP. // Ocean Science, 7(6), 2011, pp. 793-803. <https://doi.org/10.5194/os-7-793-2011>.
- [3] Marchuk G.I. Numerical solution of problems of atmospheric and oceanic dynamics. // Gidrometeoizdat, Leningrad, 1974, 303 p. (in Russian).
- [4] Kvaratskhelia D., Demetrashvili D., Elbakidze Kh., Sorriso-Valvo L. Turbulent mixing numerical study in the Black Sea basin using modified version of the Pacanovski-Philander formulation. // Bulletin TICMI 25(1), 2021, pp. 3-19.

- [5] Kordzadze A.A., Surmava A A., Demetrashvili D.I., Kukhalashvili V.G. Numerical modeling of the mesoscale hydrodynamic fields in the atmosphere over the south-east part of the Black Sea. // Proceedings of Mikheil Nodia Institute of Geophysics, t.64, 2013, pp. 131-139, (in Russian).
- [6] სურმავა ა., ინწკირველი ლ., გიგაური ნ., კუხალაშვილი ვ. PM2.5 და PM10 მიკროაეროზოლები ქ. თბილისის ატმოსფეროში. // სტუ ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი, 2021, 92 გვ.
- [7] Kukhalashvili v., Surmava A., Gigauri N., Intskirveli L., Demetrashvili D. Numerical and experimental investigation of particulate matters 2.5 and 10 distribution in Tbilisi city atmosphere. // Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, t. 16, №3, 2022, pp. 60-67.
- [8] Surmava A. Numerical Simulation of Soil Salinity Reduction Caused by Means of Irrigation and Introduction of Sorbent. // Georgian Academy Press; Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, No. 1, v.7, 2013.
- [9] ზაგრატიონი ნ., გვერდწითელი ლ., სურმავა ა., გვახარია ვ. მდ. ცხენისწყლის ფსკერულ დანალექებში დარიშხანის განაწილების რიცხვითი მოდელირება. // პროფესორ ვიქტორ ერისთავის 80 წლისთავისად მი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია „გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება“ , თბილისი, საქართველო. 2019, 11-12 ნოემბერი, შრომები, 2020.

ON RESEARCH CARRIED OUT IN THE SECTOR OF MODELING THE SEA AND ATMOSPHERIC DYNAMICS OF THE M. NODIA INSTITUTE OF GEOPHYSICS

Demetrashvili D.

*Mikheil Nodia Institute of Geophysics of Ivane Javakishvili Tbilisi State University, Tbilisi, Georgia
demetr_48@yahoo.com*

***Abstract.** A brief overview of the scientific research works conducted in 2011-2023 in the sector of Modeling the Sea and Atmospheric Dynamics of the Institute of Geophysics is presented. The sector has developed non-stationary mathematical models that describe the hydrothermodynamic and impurity diffusion processes in the Black Sea, atmosphere, soil and surface waters. The models of the dynamics of the sea and the atmosphere are based on the complete systems of equations of the hydrothermodynamics of the sea and the atmosphere, and the models of the distribution of impurities are based on the advection-diffusion equation for non-conservative impurities. The equation for infiltration of liquid matter into soil is used to model the distribution of dissolved matter in soil. Some results of the computer realization of the mentioned models are presented.*

***Key words:** System of equations, numerical model, flow field, distribution of impurities.*

განაშემოდინების კვლევა შავი ზღვის შელფზე ბათუმის აკვატორიაში

მესტვირიშვილი შ., ჭალიაშვილი გ., კოდუა მ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
Mestvirishvilishota01@gtu.ge

ანოტაცია. 1993–94 წლებში ჩატარდა უკრაინელ კოლეგებთან ერთად საქართველოს ტერიტორიული წყლების გეოქიმიური კვლევა ქალაქ ფოთიდან თურქეთის საზღვრამდე. უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთი ზღვების კვლევის ინსტიტუტის საკვლევი გემით, რომელიც აღჭურვილი იყო (მაშინდელი) უახლესი ტექნიკით, გემზე არსებული ჰიდროაკუსტიკური გაზაგებვის მეთოდი მეტად მოსახერხებელია წყალქვეშა გაზუმცველი მინდვრების მოძიებისა და გამოკვლევისათვის, ამასთან, გაზაგებვისათვის საჭირო დრო ბევრად მცირეა, რამაც საშუალება მოგვცა სხვა დამატებითი ინფორმაციაც მოგვეპოვებინა, რაც აუცილებელია შავი ზღვის შელფის მრავალმხრივი შესწავლისათვის. ექსპედიციების დროს შედგენილი იქნა გაზაგებვითი რუკა, რამაც მოგვცა შესაძლებლობა დაგვეჩვენა ზღვის ფსკერის მდგომარეობა. ჩატარებული იყო სეისმოაკუსტიკური ზონდირება და შედარება ბუმტების ამოსვლის ადგილებსა და არ არსებულს შორის. განსხვავება აღმოჩნდა საგრძნობი. გამოკვლევამ აჩვენა, რომ სადაც ზღვებში და ოკეანეებში გაზუმოდინება განსაკუთრებულ შესწავლას მოითხოვს.

საკვანძო სიტყვები: აირუმოდინება, რღვევის ხაზი, ზღვის შელფი, სეისმოაქტივობა.

შესავალი

2021 წლის სექტემბრიდან საქართველოს სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან გაფორმებული საინვესტიციო ხელშეკრულების საფუძველზე შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდ“-მა დაიწყო ქალაქ ბათუმში ხელოვნური კუნძულის აგება. საინჟინრო-სამშენებლო თვალსაზრისით იგეგმება 50-60 ჰექტარი მიწის ხელოვნური ფართობის შექმნა, კუნძულების და ნახევარკუნძულების სახით.

ამ ფაქტმა, ჩვენ გვიბიძგა ყურადღება გაგვემახვილებინა შავი ზღვის ისეთ ფაქტორზე, როგორცაა აჭარის სანაპიროს რთული ტექტონიკური აგებულება და ამასთან ერთად, გამოკვლეული და დადასტურებული, ბუნებრივი აირის (მეთანის CH₄), თავისუფალი გადაადგილება ზღვის ფსკერიდან წყლის ზედაპირამდე. ჩვენი კვლევის არეალიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ ყურადღებას გავამახვილებთ, აჭარის სანაპიროს იმ კოორდინატა საზღვრებში სადაც დაგვეჩვენა ზემოთ ნახსენები გასართობი ტერიტორიის მოწყობა. არის ინფორმაცია, რომ ჩატარდა არეალის ბათიმეტრიული კვლევა, მაგრამ ტექტონიკაზე არაფერია ნათქვამი.

შავ ზღვაში, რომელიც ევროპის ცენტრშია და ყველაზე შორს მდებარეობს ოკეანეებისაგან, საგრძნობლად დაცულია მათი გავლენისაგან და ყველაზე შესწავლილ ზღვად ითვლება, მასშიც კი გვხვდება უამრავი უცნობი მოვლენა, მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი: შავი ზღვის ფლოტის ჰიდროგრაფიული სამმართველოს 1927 წლის მონაცემებში ნახსენებია ყირიმის სანაპიროზე მიწისძვრის დროს მომხდარი გაზის ამოფრქვევა, რომელსაც მოჰყვა აალება (მისი სიგრძე 1 მილი იყო და ალის სიმაღლე 500 მეტრი). მიწისძვრა 11-ჯერ გამეორდა და გაზის ამოფრქვევა ყველა შემთხვევაში თითქმის ერთნაირი სიმძლავრის იყო და მსგავს ხასიათს ატარებდა (დიდი რაოდენობით გაზის ამოფრქვევას თითქმის ყველგან მოსდევს აალება, რასაც იწვევს მასში არსებული ფოსფიდის მოლეკულები). აღნიშნულ მოვლენას 1989 წლამდე

მიაწერდნენ შავი ზღვის ქვედა ფენებში გახნილი გოგირდწყალბადის გამოყოფას, მხოლოდ 1989 წლის უკრაინელი მეცნიერების გამოკვლევებმა აჩვენა, რომ გოგირდწყალბადის კი არა, ბუნებრივი გაზის ამოფრქვევას ჰქონდა ადგილი, რადგან იმ რეგიონში აღმოჩნდა დიდი რაოდენობით გაზშემოდინებას წერტილები, რომელიც დაკავშირებულია რღვევის ხაზებთან და მის ადგილას მიწისძვრის შედეგად წარმოიშვა ნაპრალი, რამაც გამოიწვია ბუნებრივი გაზის ერთდროულად დიდი რაოდენობის ამოფრქვევა. მეცნიერები ნავთობისა და გაზის საბადოების არსებობას უკავშირებენ როგორც კონტინენტურ, ასევე ადგილობრივი რღვევის ხაზებს, რადგან საბადოების 75% რღვევის ხაზებთან არის განლაგებული.


შავი ზღვის საქართველოს ტერიტორიალურ წყლებში ფართომასშტაბიანი გეოქიმიური კვლევები არ იყო ჩატარებული, 1993–94 წლებში ჩატარდა უკრაინელ კოლეგებთან ერთად საქართველოს ტერიტორიული წყლების გეოქიმიური კვლევა ქალაქ ფოთიდან თურქეთის საზღვრამდე (სურ.1). უკრაინის მეცნიერებთა აკადემიის სამხრეთი ზღვების კვლევის ინსტიტუტის საკვლევი გემით, რომელიც აღჭურვილი იყო მაშინდელი უახლესი ტექნიკით, მათ შორის: მაღალი მგრძობიარობის მქონე აკუსტიკური კომპლექსით “Simrad-500, წრიული ხედვის მქონე ჰიდროლოკატორით “Furmo CH-16”, წყალქვეშა რობოტი „MiniRoveri-11”, სამეცნიერო ცენტრითა და სპეციალბორატორიებით. imrad EK-500 კომპიუტერი დაკავშირებული იყო IBM PC-2/65 პერსონალურ კომპიუტერთან და თანამგზავრულ სანავიგაციო სისტემასთან GPS-NavIGATOR. შედეგების წინასწარი დამუშავება მიმდინარეობდა ექსპედიციის მსვლელობისას, ხოლო საბოლოო დამუშავება გემიდან ნაპირზე გადმოსვლის შემდეგ. ექსპედიციის ძირითად მიზანი იყო დაგვედგინა საკვლევ ტერიტორიაზე ზღვის ფსკერის მდგომარეობა და იქედან გაზის შემოდინება, რაც წინაპირობაა მოცემულ ადგილზე გაზისა და ნავთობის საბადოსი და გეოლოგიური რღვევის ხაზების არსებობისა.

ჰიდროაკუსტიკური გაზაგეგმვის მეთოდი მეტად მოსახერხებელია წყალქვეშა გაზშემცველი მინდვრების მოძიებისა და გამოკვლევისათვის, ამასთან, გაზაგეგმვისათვის საჭირო დრო ბევრად მცირეა, რამაც საშუალება მოგვცა სხვა დამატებითი ინფორმაციაც მოგვეპოვებინა, რაც აუცილებელია შავი ზღვის შელფის მრავალმხრივი შესწავლისათვის.

ექსპედიციების დროს შედგენილი იქნა გაზაგეგმვითი რუკა. პირველი ექსპედიციის დროს 1993 წელს მდინარე სუფსის შესართავთან გამოკვლეული იქნა 50 კმ², სადაც გაზშემცველი ფართობი 10კმ²-ია. მეორე ექსპედიციის დროს აჭარის სანაპიროს 200 კმ² გამოკვლევისას გაზშემცველი აღმოჩნდა 20კმ².

ძირითადი ნაწილი


საქართველოს შავი ზღვის შელფის გამოკვლევისას დაფიქსირდა უამრავი გაზშემოდინების წერტილი, რომლებიც ყირიმთან აღმოჩენილი გაზშემოდინების ანლოგიურია. გამოკვლევამ აჩვენა, რომ გაზის გამოვლენის ადგილების განლაგება წრიული და ხაზური ხასიათისა არის, რომელიც ადგილობრივი რღვევის ხაზებს უკავშირდება. სურ.1-ზე მოცემულია საქართველოს შავი ზღვის შელფის აჭარის სანაპირო ზოლში გაზგამოვლინების წერტილების რუკა თურქეთ-საქართველოს საზღვრიდან ქობულეთის ჩათვლით. განსაკუთრებით ყურადღების ღირსია მდინარეების: ჭოროხისა და ქოროლის ტრავერსებს შორის მოქცეული ბათუმის აკვატორია. ამ აკვატორიაში მდებარეობს ორი შიგაზონალური რღვევის ხაზი ნახევარწრის შიგნით, 15-20 მეტრის სიღრმეზე არის ბათუმის გაზგაუმტარი ბლოკი, რომლის ნაპირების მკვეთრი ვარდნის ამპლიტუდა 200-300 მ-ია. ამ ბლოკის გარშემო ბლოკსა და სიღრმეთა ვარდნას შორის დადებით გადაღუნვაზე დაფიქსირდა მძლავრი აირშემოდინების მინდვრები. აღნიშნული ბლოკი ჰალოფექტს წარმოადგენს. ასეთივე სახე აქვს მდინარე სუფსასთან აღმოჩენილ გაზგამოვლინებას.



სურ.1. აჭარის სანაპირო ზღვაში გაზგამოვლინების წერტილები.


აღნიშნული ექსპედიცია და მის მიერ მოპოვებული შედეგები ფართოდ შუქდებოდა ქართულ და უცხოურ პრესაში, ასევე სამეცნიერო ჟურნალებში [1, 2,3,].

სურ. 2-ზე ჩანს ზღვის ფსკერიდან გაზის ბუშტების ამოსვლის ადგილას სიღრმე, ბუშტების დიამეტრის განმსაზღვრელი სოლი, რომლის დიამეტრი იცვლებოდა 1-2 სმ-მდე, ასევე მოცემულია სიღრმე და გადაღების დრო.



სურ. 2. ბუშტების ამოსვლა ზღვის ფსკერიდან.


სურ.3-ზე წარმოდგენილია საქართველოს შავიზღვისპირა სანაპიროს №2 პოლიგონის (ბათუმის, აჭარის) სივრცითი რუკა, რომელზეც დატანილია გაზშემოდინების წყაროები. რუკაზე შეიმჩნევა გაზის ამოსვლის (სიკების) წერტილების ლოკალიზაცია იზობატების შეჯგუფების ადგილებში, ანუ ზღვის ფსკერის არაერთგვაროვანი რელიეფის ადგილებში.



სურ. 3. საქართველოს შავიზღვისპირა სანაპიროს # 2 პოლიგონის სივრცითი რუკა.

ამ ფაქტის ერთ-ერთი ახსნა შესაძლოა იყოს საქართველოს სანაპირო ზოლთან ზღვის ფსკერის გეოლოგიური სტრუქტურის შესაბამისი ინტერპრეტაცია, რომლის თანახმადაც გაზშემოდინება დაკავშირებულია ტექტონიკურ რღვევასთან. მაგრამ ფსკერის სეისმოაკუსტიკური პროფილირება არ იძლევა

საშუალებას დავახასიათოთ მიკრომასშტაბური დონის ლოკალური პროცესები, როგორც არის ზღვის ფსკერიდან გაზის ჭავლების ამოსვლის კონკრეტული ადგილები.



სურ. 4. ფსკერის აკუსტიკის პროფილი ა) გაზგაუმტარ ფილაზე (42.01'N, 42.43'E) ; ბ) გაზის შემოდინების ადგილში (41.52'N, -დან 41.55'N, 41.45'E-მდე)

ამ მიზნისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს ფსკერული ნალექების ზედა ფენების ზონდირების ტექნოლოგია, რომელიც გვაწვდის ინფორმაციას ფსკერის თხელ სტრუქტურაზე. ვფიქრობთ, გონივრულია მოსაზრება, რომ სიღრმეებიდან ამოსული გაზი ხელს უწყობს ფსკერის აკუსტიკური პროფილის შეცვლას მახლობლად მდებარე მონაკვეთებთან შედარებით (სურ. 4.). ამისათვის შერჩეული იქნა 120,438 კპც ბგერის ტონალური სიგნალები, სიხშირის უკუსივრცული გაბნევის ძალთა სხვაობა 1 მეტრი სისქის ფსკერულ დანალექში. ფსკერის დადარულ რელიეფურ ზონებში, როგორცაა აჭარის სანაპირო, სწორედ ბგერის უკუსივრცული გაბნევის ძალთა სხვაობა ნაკლებად ემორჩილება ფლუქტუაციებს, ვიდრე ტონალური სიგნალები, რომელთა ამპლიტუდაც ძლიერ დამოკიდებულია ფსკერის ზედაპირზე ბგერის სხივის დაცემის კუთხეზე. მიღებული მონაცემების ანალიზმა შესაძლებლობა მოგვცა დავასკვნათ, რომ ფსკერის აკუსტიკური პროფილების განაწილება არაერთგვაროვანია, რაც განპირობებულია ფსკერზე დანალექთა შემადგენლობით. უფრო კონტრასტული სურათი გამოვლინდა სიპების ლოკალიზაციის რაიონში და შელფურ პლატოზე, სადაც დეტალური გამოკვლევის მიუხედავად, არც ერთი გაზშემოდინების სიპი არ დაფიქსირდა.

ამავდროულად, ქრომატოგრაფიული კვლევის შედეგებიც იძლევა წყლისა და გრუნტის შემადგენლობის მკვეთრ განსხვავებას იმ ადგილებში, სადაც ლოკალიზებულია სიპები და სადაც ისინი არ არის.

დასკვნა

მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში ფართო გავრცელება ჰპოვა ზღვებსა და ოკეანეებში სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობების აშენებამ. ჩვენმა ცდებმა დაადასტურა, რომ ისეთ ადგილებს, სადაც გაზშემოდინებას აქვს ადგილი, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან, როგორც ავღნიშნეთ, გაზშემოდინება უპირატესად დაკავშირებულია რღვევის ხაზებთან და ტექტონიკური აქტივობის დროს რღვევის ხაზების შემხები ბლოკები შეიძლება გადაადგილდეს, რაც ნაგებობის მდგრადობაზე იმოქმედებს. ასევე საშიშროებას წარმოადგენს ზღვის ფსკერიდან გამომდინარე გაზი (სურ.3). რომელიც ზემოთ მოძრაობისას შემხვედრ წინაღობას გარს შემოუვლის და ისე მოხვედება ჰაერში. მსგავსი პროცესი გემებთან დაკავშირებით განხილულია [3]-ში. ნაგებობების შემთხვევაში სიტუაცია გაცილებით უფრო რთულია, რადგან გემები და მცურავი საშუალებები ხშირად იცვლიან ადგილს და ამავე დროს გარსდენადი ფორმისაა, ამიტომ მათი ფსკერის ქვეშ გაზის დიდი რაოდენობით დაგროვებას ადგილი არ ექნება. თუ ეს წინაღობა იქნება შენობა ან მსგავსი ნაგებობა, შესაძლებელია მის ქვეშ სივრცეში მოხდეს გაზის დაგროვება და აფეთქებადსაშიში ნარევის წარმოქმნა. ასევე შეიძლება ნაგებობის შიგა

ვაზის მოვლის პროცესი საგრძნობლად შრომატევადია და მრავალ კომპონენტს შეიცავს, მათ შორის შეწამვა ბორდოს ხსნარით მნიშვნელოვანია. ვენახის 1 ჰას შეწამვლას დაახლოებით 1 ტონა ბორდოს ხსნარი ესაჭიროება. ვინაიდან კახეთში ვენახების საერთო ფართი 80000 ჰას აღემატება, ვაზის მოვლას ყოველწლიურად კახეთში შეწამვისას მილიონობით კგ ბორდოს ხსნარი გაიხნევა, რომელს შემადგელობაშიც ძირითადად არის შაბიამანი- Cu SO_4 და კირი. გაფრქვევული ბორდოს ხსნარის ნაწილი ესხურება ვაზს, საგრძნობლად დიდი ნაწილი კი თბილი ჰაერის აღმავალ ნაკადს მიაქვს ატმოსფეროს სხვადასხვა ფენებში (სურათი 1).

განსაკუთრებული ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ბორდოს ხსნარის იმ ნაწილზე, რომელიც ხვდება ატმოსფეროს ზედა ფენაში, სადაც ხდება სეტყვის ფორმირება. სეტყვის წარმოქმნის მექანიზმი განხილულია [1]-ში, მასში ასევე მოცემულია სეტყვის ქიმიური ანალიზი, რომელიც ჩატარდა თელავის რაიონის სოფელ აკურის ტერიტორიაზე მოსულ სეტყვაზე. ნიმუშები აღებული იქნა ვენახებიდან მოშორებით, რათა შეწამვის ძველ ნარჩენებს გავლენა არ მოეხდინა ქიმიური ანალიზის შედეგზე. სეტყვის ქიმიურმა ანალიზმა აჩვენა, რომ მასში აღმოჩნდა დიდი რაოდენობით Cu -ისა და SO_4 - ის იონები, რომლებიც კრისტალიზაციის ცენტრებია.



სურ. 1. ვენახის შეწამლის პროცესი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სეტყვის წარმოქმნის პროცესში მათ მნიშვნელოვანი როლი აქვთ. ქიმიური ანალიზის შედეგად სეტყვაში აღმოჩენილი იონები კი, Cu და SO₄, ორივე ძლიერი საწამლავია. აღნიშნული იონები სეტყვასა და წვიმის წვეთებთან ერთად დედამიწას უბრუნდება, სეტყვა მექანიკურად ანადგურებს მოსავალს, გადნობის შემდეგ კი წამლავს გარემოს, მათ შორის, ადგილობრივ მოსახლეობას. ნათლად ჩანს, რომ ვენახების შეწამლისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბორდოს ხსნარის იმ ნაწილს, რომელიც ვაზს ასცდება და ღრუბელში მოხვედრის შემდეგ გარდაიქმნება სეტყვად, ის ნაწილი კი, რომელიც ჰაერის აღმავალ დინებას ღრუბლებში მიაქვს, მაგრამ მონაწილეობას არ იღებს სეტყვის წარმოქმნაში, ასევე ხვდება ელექტრულ ველში და გარდაიქმნება საწამლავად, რომელიც მთელ მევენახეობის რეგიონს ეფინება და წამლავს რეგიონს. აღნიშნულიდან გამომდინარე, რომ მარტო სეტყვის წინააღმდეგ კი არ არის საჭირო ბრძოლა, არამედ ბორდოს ხსნარის სწამლავად გადაქცევის წინააღმდეგაც. ე.ი ამისათვის როგორც სეტყვის, ისე ბორდოს ხსნარის საწამლავად გადაქცევის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა დავიწყოთ ვენახის შეწამლისას. საქპატენტში ჩვენ მიერ წარდგენილია განაცხადი შესაწამლი აპარატის გამოგონების შესახებ და მასზე პატენტის გაცემის თაობაზე. ეს აპარატი მაქსიმალურად შეამცირებს ბორდოს ხსნარის უმიზნოდ გაბნევას და მას დააბრუნებს უკან ბორდოს ხსნარის ავზში შემდეგ გასაფრქვევად, ეს კი მოგვცემს ბორდოს ხსნარის ეკონომიასაც. ასევე, შემცირდება კრისტალიზაციის ცენტრების სეტყვის წარმოქმნის ზონაში მოხვედრა, რაც თავის მხრივ ორმაგ ეფექტს მოგვცემს: ერთდროულად გადაწყდება სეტყვის პრობლემა და Cu და SO₄ აღარ წარმოიქმნება.

ლიტერატურა

- [1] Mestvirishvili Sh.A. O prichine uvelicheniya chastoty gradobitiiy v vinogradarskikh rayonakh. // Soob. Akad. Nauk Gruzii, 140, N 2, 1990, (in Russian).
- [2] Mestvirishvili Sh., Kodua M., Benashvili M. Effect of Bordeaux Mixture on the Origin of Hail. // Journal of the Georgian Geophysical Society, e-ISSN: 2667-9973, p-ISSN: 1512-1127, v. 26(1), 2023, pp.63-66.

IMPACT OF THE BORDEAUX CUPPER ON THE ENVIRONMENT OF THE VINERY REGION

*Mestvirishvili Sh., **Benashvili M., *Kodua M., ***Kikabidze K., ***Iashvili N.

**Georgian Technical University, Tbilisi, Georgia*

***Agricultural University of Georgia, Tbilisi, Georgia*

****Engineering Academy of Georgia, Tbilisi, Georgia*

Mestvirishvilishota01@gtu.ge

Abstract. This study reveals what are the consequences of spraying vineyards using Bordeaux copper spray. Hail chemical analysis is discussed and based on it two major conclusions are discussed: 1. Bordeaux copper spray when entering the clouds will turn into crystallization centers under the influence of the electric field, which accelerates hail formation. 2. Emerging crystallization centers represent a powerful poison, which comes on earth with hail and the environment and the population are poisoned. Also, a drawing of the sprayer machine is shown. This machine will return Bordeaux copper spray aimlessly scattered into the air, which saves a large amount of spray and the scattered droplets will no longer get into the hail generating zone. This will subsequently prevent us from hailing the agricultural plots and getting poison into the population.

Key words: Hail, Bordeaux copper spray, Coagulation, Spraying.

**“HOVENIA DULCIS THUNB”. გენერაციული ორგანოების ხარისხობრივი მაჩვენებლების
ანალიზი და მათი ფარმაკოლოგიური მნიშვნელობა**

***კიკნაძე ნ., *ცინცაძე ლ., **სეიდიშვილი ნ., *მეტრეველი მ., *კუჭავა მ., *გოგიტიძე თ.**

**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო*
***ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი,*
ბათუმი, საქართველო
nino.kiknadze@bsu.edu.ge

ანოტაცია. ჩატარებულია აჭარის ზღვისპირეთში გავრცელებული კანფეტის ხის (Hovenia dulcis Thunb.) ნაყოფებისა და თესლების ძირითადი ხარისხობრივი მაჩვენებლების კვლევა, მათი მედიკო-ბიოლოგიური მნიშვნელობის დადგენის მიზნით. განხორციელდა მცენარის ნაყოფებისა და თესლების ხარისხობრივი მაჩვენებლების კვლევა ბოტანიკური ბაღის, მწვანე კონცხის, ბენზეს დასახლების და ორთაბათუმის ლოკაციებზე. ექსპერიმენტული მონაცემებით დადგინდა, რომ წყლის, მშრალი და ექსტრაქტული ნივთიერებების, საერთო შაქრების, ტანინის, ვიტამინი C-ს, ცხიმუხვების, ნედლი პროტეინის, პექტინის შემცველობით საუკეთესო იყო ბოტანიკური ბაღის ლოკაციაზე აღებული ნიმუშები. ელემენტებიდან დომინანტებია K, Ca, რომელთა ჯამი შეადგენს განსაზღვრული მაკროელემენტების პრაქტიკულად 70%-ს. კანფეტის ხის ნაყოფებსა და თესლებში მიკროელემენტები განლაგებულია რიგში: Fe > Cu > Mn > B > Ni, Zn. კვლევების საფუძველზე შესაძლებელია რეკომენდაცია მიეცეს Hovenia dulcis Thunb. ნაყოფების წყლიანი ექსტრაქტის და თესლებისგან მიღებული ფხვნილის გამოყენებას სხვადასხვა ნაყენების სახით, რომლებსაც გააჩნიათ ანტიოქსიდანტური, ანტიმიკრობული, მასტიმულირებელი და სხვა ფარმაკოლოგიური თვისებები.

საკვანძო სიტყვა: ჰოვენია; მორფოლოგია; განვითარება; ხარისხობრივი მაჩვენებლები.

აქტუალობა. ტკბილი ჰოვენია არის ფოთლომცვენი 10-დან 30 მეტრამდე სიმაღლის ხე. მისი ბუნებრივი გავრცელების არეალს წარმოადგენს აღმოსავლეთ ჩინეთი, იაპონია, კორეა, სხვა ქვეყნებში ინტროდუცირებულია. საუკუნეების წინ იყო ცნობილი მისი სამკურნალო თვისებები, რომლებიც აქტიურად გამოიყენება ხალხურ მედიცინაში, კერძოდ: გაციების ინფექციების, დაქვეითებული იმუნიტეტის, ღვიძლის დაავადებების, სისხლძარღვების დაავადებების, ალკოჰოლიზმის სამკურნალოდ, ნევროლოგიური ტკივილების მოსახსნელად. გამოირჩევა ანტისიმსივნური მოქმედებით, გამოდევნის ორგანიზმიდან ტოქსინებს, გამოიყენება საკონდიტრო მიზნებით, საკვებად, დეკორატიულ მებაღეობაში. ევროპაში მე-20 საუკუნიდან არის კულტივირებული, აჭარის ზღვისპირეთში ვხვდებით მის ცალკეულ ნარგაობებს, რომელთა ხნოვანება 100 წელს მეტს ითვლის. სამწუხაროდ, ეს მცენარე მეცნიერულად სრულყოფილად არ არის შესწავლილი. სწორედ ამ აქტუალურმა საკითხებმა განაპირობა ჩვენი ინტერესი მის მიმართ.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ტკბილი ჰოვენიას მორფოლოგიური ნიშნების, ზრდისა და განვითარების ფენოფაზების, ნაყოფებისა და თესლების ძირითადი ხარისხობრივი მაჩვენებლების შესწავლა-შეფასება და ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე, მათი შედარებითი დახასიათება, სამედიცინო-ბიოლოგიური მნიშვნელობის დადგენის მიზნით.

კვლევის ამოცანებს წარმოადგენდა ჰოვენიას მორფოლოგიური ნიშნების, ზრდის, ვეგეტატიური, გენერაციული განვითარების შესწავლა, მთავარი ფენოფაზის - ნაყოფმსხმოიარობის ხარისხის დადგენა;

საკვლევ ობიექტებში ხარისხობრივი პარამეტრების განსაზღვრა (მჟავიანობა; ექსტრაქტი; ვიტამინი C; ტანინი; საერთო შაქრები; ცხიმოვანები, ნედლი პროტეინი; პექტინი; ნაყოფების და თესლების ელემენტური ანალიზი).

კვლევის ობიექტები იყო ტკბილი ჰოვენის ხე-მცენარის თესლები და ნაყოფები, აღებული შემდეგ ლოკაციებზე: 1. ბოტანიკური ბაღი; 2. მწვანე კონცხი; 3. ბენზეს დასახლება; 4. ორთაბათუმი.

გამოყენებული მეთოდები: ფენოლოგიური დაკვირვების მეთოდი [1]; გრავიმეტრული და ტიტრირებული ანალიზი [2, 3, 4, 5]; ნაყოფების და თესლების მულტიელემენტური ანალიზი ტარდებოდა პლაზმური ატომურ-ემისიური სპექტრომეტრით ხელსაწყო ICPE-9820-ზე [6].

კვლევის შედეგები. აჭარის ზღვისპირეთის ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში მზარდი ჰოვენის ზოგად მორფოლოგიურ თავისებურებებსა და ზრდა-განვითარების პროცესზე დაკვირვება მიმდინარეობდა კლასიკური (ბეიდმანის) მეთოდით [7]. დადგინდა, რომ ჰოვენის კოკრების მასიური დაბერვა იწყება თებერვლის ბოლოს-მარტში, რაც ჰაერის ტემპერატურაზე დამოკიდებული. გაშლა იწყება მარტის მესამე დეკადიდან. აპიკალური ზრდა კი – მარტის ბოლოს და გრძელდება ივლისამდე. შეფოთვლა იწყება მარტის ბოლოს-აპრილის დასაწყისში. ფოთოლცვენა ნოემბრის მეორე ნახევრიდან იწყება და დეკემბრის თვის განმავლობაში მიმდინარეობს. ყვავილობა მასიურია ივნისის თვეში, ნაყოფები ივლისში უკვე გამოწვავილია, რომელიც მომწიფებას იწყებენ ოქტომბერ-ნოემბრიდან (ცხრილი 1).

ცხრილი 1. *Hovenia dulcis* - ის ზრდა-განვითარების ძირითადი ფაზების ფენოსპექტრი.

სახეობა	ფენოფაზა	თვე											
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
<i>Hovenia dulcis</i> <i>Tnunb.</i>	ვეგეტაციის ხანგრძლივობა												
	ყვავილობა												
	ნაყოფისა და თესლის მომწიფების პერიოდი												

მჟავიანობის მაჩვენებლები უმნიშვნელო იყო ჰოვენის ნაყოფებში ოთხივე ლოკაციაზე (0,65-0,85%), ხოლო თესლებში ის 1,7-3,7-ჯერ მეტია და ყველაზე მაღალია ბენზეს ლოკაციაზე. ექსტრაქტული ნივთიერებების მაღალი შემცველობით გამოირჩეოდა ბოტანიკური ბაღის და მწვანე კონცხის ლოკაციებზე აღებული ჰოვენის ნაყოფები - 25-26% (ცხრილი 2). ნაყოფებში საერთო შაქრების მაღალი შემცველობა დაფიქსირდა ბოტანიკური ბაღის ლოკაციაზე-41,8%, სხვა ლოკაციებზე 2-6,1%-ით ნაკლები იყო და მინიმალური შემცველობა დაფიქსირდა ბენზეს ლოკაციაზე [8]. ტანინის შემცველობა ჰოვენის თესლებში 6,7-9,32-ჯერ აღემატებოდა ნაყოფებში მის შემცველობას. ტანინის მაღალი შემცველობით თესლებში გამოირჩეოდა ბოტანიკური ბაღის და მწვანე კონცხის ლოკაციები-20,37-22,31%.

ცხრილი 2. მჟავიანობის, წყლის, მშრალი და ექსტრაქტული ნივთიერებების შემცველობა *Hovenia dulcis* -ის ნაყოფებსა და თესლებში

№	ლოკაცია	მჟავიანობა, %	ექსტრაქტული ნივთიერებების შემცველობა, %
1	ბოტანიკური ბაღი	0,65/1,14	26,0
2	მწვანე კონცხი	0,75/2,8	25,0
3	ბენზეს დასახლება	0,85/2,5	22,0
4	ორთაბათუმი	0,69/1,4	23,4

შენიშვნა: მრიცხველში - ნაყოფები; მნიშვნელში - თესლი

რაც შეეხება ჰოვენის ნაყოფებს, მათში ტანინის შემცველობა შეადგენდა 1,7-2,5%-ს. ვიტამინის C-ს შემცველობით განსაკუთრებით მდიდარია ბოტანიკური ბაღის ჰოვენის ნაყოფებში-51,6%, ხოლო ბენზეს ლოკაციაზე ეს მაჩვენებელი 1,13-ჯერ ნაკლები იყო. კანფეტის ხის თესლებში ცხიმზეთების შემცველობა მაღალი იყო ბოტანიკური ბაღის ლოკაციაზე-14,50%, ბენზეს ლოკაციაზე კი მათი შემცველობა 2,83%-ით ნაკლები იყო. ბოტანიკური ბაღის Hovenia-ს ნაყოფებში ნედლი პროტეინის რაოდენობა შეადგენდა 5,2%-ს, ბენზეს ლოკაციაზე-3,2%-ს, ანუ 1,6-ჯერ ნაკლებს [9]. მსგავსად ნედლი პროტეინისა, ბოტანიკური ბაღის Hovenia-ს ნაყოფებში პექტინის შემცველობა 1,7-ჯერ მეტი იყო ბენზეს Hovenia-ს ნაყოფებთან შედარებით (ცხრილი 3).

ცხრილი 3. ძირითადი ხარისხობრივი მაჩვენებლების შემცველობა Hovenia dulcis -ის ნაყოფებსა და თესლებში.

№	ლოკაცია	შაქრები ნაყოფში %	ტანინი %	ვიტამინი C ნაყოფებში	ცხიმები თესლში %	საერთო აზოტი ნაყოფში %	ნედლი პროტე- ინი ნაყოფში %	საერთო პექტინი ნაყოფში %
1	ბოტანიკური ბაღი	41,8	<u>2,5</u> 22,31	51,6	14,50	0,5	5,2	2,34
2	მწვანე კონცხი	39,8	<u>2,3</u> 20,37	48,5	-	-	-	-
3	ბენზეს დასახლება	35,7	<u>1,7</u> 14,55	45,6	11,67	0,5	3,2	1,37
4	ორთაბათუმი	37,1	<u>2,0</u> 18,64	49,8	-	-	-	-

Hovenia-ს ნაყოფებს და თესლების მულტიელემენტური ანალიზით დადგინდა: Al-ის შემცველობა ნაყოფებში შეადგენდა 10,8-24,9მგ/კგ, ხოლო თესლებში ის აღმოჩნდა მხოლოდ ბენზეს ლოკაციაზე-0,0177მგ/კგ. მაკროელემენტებიდან, დომინანტებია K, Ca, რომელთა ჯამი შეადგენს განსაზღვრული მაკროელემენტების პრაქტიკულად 70%-ს. Mg-ის შემცველობა ნაყოფებში 1,7-3,06-ჯერ მეტია თესლებთან შედარებით და მისი მაქსიმალური შემცველობა დაფიქსირდა ბოტანიკური ბაღის და ორთაბათუმის ლოკაციებზე. ფოსფორის კონცენტრაცია მაქსიმალურია ბოტანიკურის ბაღის ლოკაციაზე: ნაყოფში – 1672მგ/კგ, თესლებში – 866მგ/კგ, ხოლო მისი მინიმალური შემცველობაა - ბენზეს ლოკაციაზე. თესლებში Si-ის შემცველობა 2,6-7,1-ჯერ აღემატება ნაყოფებში მათ შემცველობას. კანფეტის ხის ნაყოფებსა და თესლებში მიკროელემენტები შემცველობის, მიხედვით, განლაგებულია შემდეგნაირად: Fe>Cu>Mn>B>Ni,Zn. რკინით მდიდარია ნაყოფები, რომლებშიც მისი შემცველობა 5,2-7,7-ჯერ მეტია თესლებში მის შემცველობაზე. B-ის, Cu-ის, Mn-ის, Ni-ის კონცენტრაციები ასევე მეტია ნაყოფებში თესლებთან შედარებით. მწვანე კონცხის და ბენზეს ლოკაციებზე ნაყოფებში Zn-ის კონცენტრაცია შეადგენდა შესაბამისად 0,065-0,0037მგ/კგ, მაშინ როცა თესლებში არცერთ ლოკაციაზე არ დაფიქსირებულა (ცხრილი 4).

ცხრილი 4. მაკროელემენტები, მგ/კგ.

№	ლოკაცია	Al	Ca	K	Mg	Na	P	Si
1	ბოტანიკური ბაღი	<u>10,8</u> -	<u>1644</u> 3560	<u>6390</u> 4110	<u>337</u> 110,0	<u>143</u> 68,9	<u>1672</u> 866	<u>6,06</u> 49,5
2	მწვანე კონცხი	<u>19,6</u> -	<u>1394</u> 3060	<u>5385</u> 3150	<u>174</u> 81,5	<u>80,8</u> 26,7	<u>1498</u> 548	<u>13,5</u> 96,2
3	ბენზეს დასახლება	<u>24,9</u> 0,0177	<u>2240</u> 2880	<u>5520</u> 2759	<u>134</u> 75,5	<u>62,8</u> 19	<u>759</u> 392	<u>82,8</u> 221
4	ორთაბათუმი	<u>14,4</u> -	<u>2660</u> 3040	<u>5745</u> 3225	<u>186</u> 94,9	<u>115</u> 37,6	<u>1570</u> 680	<u>9,78</u> 63,8

მიკროელემენტები, მგ/კგ

№	ლოკაცია	As	B	Cu	Fe	Mn	Ni	Zn
1	ბოტანიკური ბაღი	-	<u>1,21</u> 0,372	<u>3,22</u> 0,13	<u>9,8</u> 1,26	<u>3,40</u> 2,68	<u>0,187</u> 0,0836	<u>0,714</u> -
2	მწვანე კონცხი	<u>0,0037</u> -	<u>1,28</u> 0,884	<u>1,64</u> -	<u>8,13</u> 1,162	<u>2,17</u> 1,31	<u>0,029</u> 0,0141	<u>0,219</u> -
3	ბენზე	<u>0,065</u> -	<u>1,25</u> 0,813	<u>2,17</u> -	<u>6,59</u> 1,06	<u>1,94</u> 0,171	<u>0,0414</u> -	<u>0,0425</u> -
4	ორთაბათუმი	-	<u>1,17</u> 0,769	<u>2,20</u> 0,119	<u>6,65</u> 1,18	<u>3,26</u> 2,59	<u>0,054</u> 0,0791	<u>0,233</u> -

შენიშვნა: მრიცხველში - ნაყოფები; მნიშვნელში - თესლი

დასკვნა. დადგენილია, რომ *Hovenia dulcis* Thunb. საკვლევი მცენარეები აჭარის ზღვისპირეთის ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში გადიან სრულ ვეგეტატიურ და გენერაციულ განვითარებას. მათ ახასიათებთ აქტიური ზრდის პროცესი, მასიური შეფოთვლა, ყვავილობა და ნაყოფმსხმოიარობა. წყლის, მშრალი და ექსტრაქტული ნივთიერებების, საერთო შაქრების, ტანინის, ვიტამინი C-ს, ცხიმოვანების, ნედლი პროტეინის, პექტინის შემცველობით საუკეთესოა ბოტანიკური ბაღის ლოკაციაზე აღებული ნაყოფები და თესლები. ორგანული ნივთიერებების 80%-ზე მეტს ნაყოფებში შეადგენს ვიტამინი C და შაქრები. კალიუმის და კალციუმის ჯამი შეადგენს განსაზღვრული მაკროელემენტების 70%-ს. კანფეტის ხის ნაყოფებსა და თესლებში მიკროელემენტების შემცველობის დადამავალი რიგია: Fe > Cu > Mn > B > Ni, Zn. რკინით მდიდარია განსაკუთრებით ნაყოფები, რომლებშიც მისი შემცველობა 5,2-7,7-ჯერ მეტია თესლებში მის შემცველობაზე.

ლიტერატურა

- [1] ფრუიძე მ., ბენდელიანი ე. სუბტროპიკული კულტურების წარმოების ტექნოქიმიური კონტროლის პრაქტიკუმი (სახელმძღვანელო). // ქუთაისი, 2012, გვ. 6-126.
- [2] ალექსიძე ნ. ზოგადი ბიოქიმიის საფუძვლები (მესამე გამოცემა). // თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005, გვ. 164-166.
- [3] ხარკვეიძი დ.ა. ფარმაკოლოგია (მეექვსე გამოცემა). // [რედ.: ნელი ანთელავა, ნიკოლოზ გონგაძე, თამარ კეზელი, მაია ოკუჯავა]. თბილისი: სტუ-ს გამომცემა, 2008. გვ. 621-624.
- [4] ერისთავი ლ. ფარმაკოგნოზია (სამკურნალო მცენარეები).// თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, 2005, გვ. 548-557.
- [5] გახოვიძე რ., ტაბატაძე ლ. კვების პროდუქტთა ქიმია. // თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2016, გვ. 156-187.
- [6] <https://www.shimadzu.com/an/products/elemental-analysis/inductively-coupled-plasma-emission-spectroscopy/icpe-9800-series/index.html>
- [7] Бейдеман И.Н. Методика изучения фенологии растений и растительных сообществ. // Новосибирск, «Наука», 1974, 154 стр.
- [8] ГОСТ 8756.13-87 Продукты переработки плодов и овощей. Методы определения сахаров (Fruit and vegetable products. Methods for determination of sugars). // Москва: Стандартинформ, 2010, 11стр.
- [9] ГОСТ 13496.4-2019 Корма, комбикорма, комбикормовое сырьё. Методы определения содержания азота и сырого протеина. // Москва: Стандартинформ, 2019, 23 стр.

ANALYSIS OF QUALITATIVE INDICATORS OF GENERATIVE ORGANS OF “HOVENIA DULCIS THUNB“ AND THEIR PHARMACOLOGICAL SIGNIFICANCE

*Kiknadze N., *Tsintsadze L., **Seidishvili N., *Metreveli M., *Kuchava M., *Gogitidze T.

**Batumi Shota Rustaveli State University, Batumi, Georgia*

***Institute of Agrarian and Membrane Technologies at the Batumi Shota Rustaveli State University,*

Batumi, Georgia

nino.kiknadze@bsu.edu.ge

Abstract. The morphological characteristics of the Raisin tree (Hovenia dulcis Thunb.), widespread on the coast of Adjara, were studied; Features of growth and development. The study of the main quality indicators of fruits and seeds was carried out: in the settlements of the Botanical Garden, Mtsvane Kontskhi, the villages of Benze and Ortabatumi in order to determine their medical and biological significance. According to experimental data, it was established that the best content extractive substances, total sugars, tannins, vitamin C, fatty oils, crude protein and pectin were samples taken on the territory of the botanical garden. Among the macroelements, K and Ca predominate. In the fruits and seeds of the Raisin tree, microelements are arranged in descending order: Fe > Cu > Mn > B > Ni, Zn. On the basis of research, it is possible to recommend the use water extract of fruits and powder obtained from the seeds of Hovenia dulcis Thunb., in the form of various tinctures with antioxidant, antimicrobial, stimulating and other pharmacological properties.

Keywords: Hovenia, morphology, growth, Qualitative indicators.

აჭარისწყლის ხეობის ბუნებრივი ჰაბიტატების კონსერვაციული ღირებულება და შუახევისის მიმდებარე ტერიტორიების ნიადაგების დაბინძურების შეფასება

გვარიშვილი ნ., კიკნაძე ნ., აბულაძე თ., თავდგირიძე გ.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო
gvarishvili.nana@bsu.edu.ge

ანოტაცია. მდ.აჭარისწყლის ხეობის მიმდებარე ტერიტორიები რეფუგიაშია მესამეული ტენის მოყვარული კოლხური რელიქტური ტყეების ეკოსისტემებისთვის, რომლებსაც UNESCO-ს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის სტატუსი მიენიჭა. ხეობაში ამჟამად მიმდინარე დერივაციული ტიპის კასკადური ჰესების მშენებლობა და ექსპლუატაცია, ქმნის ბუნებრივი ჰაბიტატების ფრაგმენტაციის, განადგურებისა და დაკარგვის საშიშროებას. აჭარისწყლის ხეობაში დღეს არსებული ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასების მიზნით, წინასწარ შერჩეულ ლოკაციებზე განხორციელებულია ეკოსისტემების ბიომრავალფეროვნების ფონური შესწავლა. კვლევები ჩატარებულია დაბა შუახევის, შუახევისის წყალშემკრები ნაგებობის და შუახევისის ლოკაციებზე. გამოვლენილია ნიადაგების გატუტანება შუახევისის წყალშემკრებთან და შუახევისთან. ნიადაგები ღარიბია ჰუმუსით და აზოტით. As, Ba, Cd, Pb-ით დაბინძურების საშიშროება მეტა 1-ზე შუახევისის წყალშემკრებ და შუახევისის ლოკაციებზე; Mo, Zn-ით დაბინძურებისა – შუახევისთან, Mn-ით – ყველა ლოკაციაზე.

საკვანძო სიტყვა: ტყის ეკოსისტემები, ნიადაგის ნაყოფიერება, დაბინძურება, მულტიელემენტური ანალიზი

აქტუალობა. აჭარის უნიკალურობით გამორჩეული კოლხური ტყის ეკოსისტემების მცენარეულობა იშვიათი ენდემებითა და რელიქტებით არის წარმოდგენილი. ბუნებრივ ლანდშაფტებზე ანთროპოგენული ფაქტორების ზემოქმედებით ფიტოცენოზები კრიტიკულ დონემდე მცირდება. ის ეკოსისტემები ზარალდებიან, რომლებიც ნაკლებად მდგრადი არიან ადამიანის ზემოქმედებისადმი. სწორედ ასეთია კოლხეთის რელიქტური ტყეების მცენარეულობა, რომელიც განვითარებულია მთიანი აჭარის ხევებსა და ხეობებში [1, 5]. აჭარისწყლის ხეობაში ამჟამად მიმდინარე დერივაციული ტიპის კასკადური ჰესების მშენებლობა მოითხოვს დატოვას, მომიჯნავე ტყიანი მონაკვეთების გაჩეხვას, დერივაციული გვირაბების მშენებლობას. ჰესების ექსპლუატაციის პერიოდში, მოსალოდნელია ბუნებრივი ჰაბიტატების ბიოგეოქიმიური ციკლების დარღვევა, მძიმე მეტალებით გარემოს დაბინძურება [4]. სწორედ ამ აქტუალურ პრობლემას ეძღვნება ნაშრომი.

კვლევის მიზანი იყო მდ.აჭარისწყლის ხეობის ბიომრავალფეროვნების ფონური შესწავლა, არსებული ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასების მიზნით; ნიადაგის ნაყოფიერების ძირითადი მაჩვენებლების განსაზღვრა; ნიადაგის ელემენტური შედგენილობის დადგენა.

კვლევის ამოცანებს წარმოადგენდა შერჩეულ ლოკაციებზე ჰაბიტატების კონსერვაციული ღირებულების განსაზღვრა; ნიადაგის მულტიელემენტური და აგროქიმიური ანალიზი; ნიადაგის დაბინძურების საშიშროების კოეფიციენტის დადგენა.

რეკომენდირებული კვლევის ობიექტს წარმოადგენდა მდ.აჭარისწყლის მიმდებარე ტერიტორიების ბუნებრივი ჰაბიტატები. ნიადაგის ნიმუშების აღება მოხდა დაბა შუახევის, შუახევისის წყალშემკრები ნაგებობის მიმდებარე ტერიტორიისა და შუახევისის ლოკაციებზე.

გამოყენებული მეთოდები: ნიადაგის ანალიზს ვაწარმოებდით ფართოდ აპრობირებული *მეთოდებით* [3]. მულტიელემენტური ანალიზი ტარდებოდა პლაზმური ატომურ-ემისიური სპექტროსკოპით ICPE-9820-ზე [7]. ჩავატარეთ რეკონსტრუირებული კვლევა აღნიშნულ ტერიტორიაზე ტყის ცენოტიპების იდენტიფიკაციის მიზნით [8].

კვლევის შედეგები. მთიანი აჭარის ტყეები მნიშვნელოვანი ჰაბიტატებია ბიომრავალფეროვნებისთვის. აქ არსებული ხეობები რეფუგიუმია იმ მესამეული ტენის მოყვარული კოლხური რელიქტური ტყეების ეკოსისტემებისთვის, რომლებსაც UNESCO-ს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის სტატუსი მიენიჭა [6]. როცა ისინი ხვდებიან კასკადური ტიპის დერივაციული ჰესების მშენებლობის და ექსპლუატაციის არეალში, ექმნებათ ეკოლოგიური წონასწორობის რღვევის საფრთხე. საკვლევ ტერიტორიაზე არსებული ბიომრავალფეროვნების ფონური შესწავლისა და ლიტერატურული წყაროების დამუშავების შედეგად, გამოვლენილია მაღალი და საშუალო კონსერვაციული ღირებულების ძირითადი ბუნებრივი ჰაბიტატები.

საკვლევ ტერიტორია მდიდარია მცენარეთა ენდემური სახეობებით, აქ წარმოდგენილია საქართველოს, აჭარის, აჭარა-ლაზეთის, კოლხეთისა და კავკასიის ენდემები (ცხრილი 1). აქ დაფიქსირებულია საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობები, რომელთაგან მოწყვლადი სახეობებია: *Castanea sativa* Mill., *Buxus colchica* Pojark., *Juglans regia* L., *Quercus hartwissiana* Steven, *Ulmus glabra* Huds., *Taxus baccata* L., *Staphylea colchica* Steven, *Osmanthus decorus* (Boiss. & Balansa) Kasapligil, გადაშენების საფრთხის წინაშე მდგომი სახეობები: *Astragalus sommieri* Freyn, *Arbutus andrachne* L., *Ostrya carpinifolia* Scop [1, 2].

ცხრილი 1. აჭარისწყლის ხეობის ენდემური სახეობები.

ენდემური სახეობები			
საქართველოს ემდემები	აჭარა-ლაზეთის ენდემები	კოლხეთის ენდემები	კავკასიის ენდემები
<i>Galanthus woronowii</i> Losinsk	<i>Quercus petra</i> var. <i>dshorochensis</i> (c. Koch)	<i>Ficus carica</i> L.	<i>Digitalis ferruginea</i> L.
<i>Cirsium caput-medusae</i> Sommier & Levier	<i>Amaracus rotundifolius</i> (Boiss.) Briq	<i>Hedera colchica</i> (K.Koch) K.Koch	<i>Helleborus caucasicus</i> A. Braun
<i>Cirsium imereticum</i> Boiss	<i>Linaria adzharica</i> Kem	<i>Staphylea colchica</i>	<i>Tilia caucasica</i> Rupr.
<i>Alcea transcaucasica</i> (Iljin ex Grossh.) Iljin	<i>Cyclamen adzharicum</i> Pobed	<i>Buxus colchica</i> Pojark.	
<i>Rubus woronowii</i> Sudre	<i>Astragalus sommieri</i> Freyn	<i>Cornus sanguinea</i> L.	
	<i>Osmanthus decorus</i> (Boiss. & Bal.)		
	<i>Erysimum contractum</i> Somm. et Levier		
	<i>Centaurea adzharica</i> Sosn.		

ნიადაგების სახნავ 0–40სმ ფენაში pH 7.46–8.60–ია. შუახევჭესის წყალშემკრების და შუახევჭესის ლოკაციებზე ნიადაგების რეაქცია გადახრილია ტუტე არეში, კერძოდ pH შეადგენს 8.60. ამ ლოკაციებზე ნიადაგის ნაყოფიერების უმნიშვნელოვანესი მახასიათებლების ანალიზმა აჩვენა, რომ ჰუმუსით ნიადაგები ღარიბია, ხოლო აზოტის შემცველობა საშუალოა. შუახევის ლოკაციაზე ჰუმუსის შემცველობა ნიადაგის სახნავ ფენაში საშუალოა (ცხრილი 2).

ცხრილი 2. ნიადაგების ზოგიერთი აგროქიმიური მაჩვენებელი.

№	ნიმუშის აღების ადგილი	ნიმუშის აღების სიღრმე, სმ	pH		%	
			H ₂ O	აქტიური რეაქცია	საერთო ჰუმუსი	საერთო აზოტი
1	დაბა შუახევი	0-40	7,46	ნეიტრალ. მიახლ.	4,05	1,22
2	შუახევევის წყალშემკრებ ნაგებობასთან	0-40	8,60	საშუალო ტუტე	1,37	0,41
3	შუახევევის ტერიტორია	0-40	8,00	სუსტი ტუტე	1,63	0,48
უზრუნველყოფის ხარისხი					<3-ღარიბი 3-5-საშუალო >5-მდიდარი	<0.3-ღარიბი 0.3-0.5-საშუალო >0.5-მდიდარი

ნიადაგების 0-40 სმ სახნავ ფენაში აღმოჩენის ზღვარს ქვემოთ იმყოფება: Ni, Hg, Li, Sb, Se, Tl, V (ცხრილის 3). Mn-ის კონცენტრაცია ყველა ნიმუშში აღემატება ზღვ-ს. As, Cd, Pb, Ba-ის კონცენტრაციები მეტია ზღვ-ზე შუახევევსთან და მის წყალშემკრებთან, Mo-ის და Zn-ის კონცენტრაციები აღემატება ზღვ-ს შუახევევსთან.

ცხრილი 3. ნიადაგის წყლიანი გამონაწურის მულტიელემენტური ანალიზი.

ლოკაცია	მიკროელემენტების შემცველობა 0-40 სმ ფენაში, მგ/კგ										
	As	B	Ba	Co	Cu	Mn	Mo	Zn	Cr	Cd	Pb
დაბა შუახევი	0.0008	0,221	0.00126	0.269	0.632	0.259	0.124	1.362	0.510	0.143	0.217
შუახევევის წყალშემკრებთან	0.0024	0.353	0.0079	0.362	1.741	0.310	0.297	4.659	0.634	0.216	1.514
შუახევევის	0.0073	0,458	0.0141	0.455	2.698	0.413	0.360	5.326	0.812	0.224	1.721
ზღვ	0,001	0,5	0,0025	0,5	3,0	0,2	0,35	5.0	3.0	0.2	0.5

ჩვენს მიერ გამოთვლილი იქნა ნიადაგების დაბინძურების საშიშროების კოეფიციენტი (K₀): K₀=C/ზღვ [10]. ნიადაგების დაბინძურება არ დაფიქსირებულა ელემენტებით: B, Co, Cu, Cr. ტოქსიკური ელემენტებით – As, Ba, Cd, Pb დაბინძურების საშიშროება >1-ზე შუახევევის წყალშემკრების და შუახევევის ლოკაციებზე; Mo, Zn-ით დაბინძურებისა-შუახევევსთან, Mn-ით დაბინძურებისა - სამივე ლოკაციაზე (ცხრილი 4).

ცხრილი 4. ნიადაგების მიკროელემენტებით (მათ შორის ტოქსიკური) დაბინძურების საშიშროების კოეფიციენტი – K₀ (0-40 სმ).

ლოკაცია	მიკროელემენტები (მათ შორის ტოქსიკური)										
	As	B	Ba	Co	Cu	Mo	Mn	Zn	Cr	Cd	Pb
დაბა შუახევი	0,800	0,442	0,504	0,538	0,210	0,354	1,295	0,272	0,170	0,715	0,434
შუახევევის წყალ-შემკრები	2,400	0,706	3,160	0,724	0,580	0,848	1,550	0,931	0,211	1,080	3,028
შუახევევის	7,300	0,916	5,640	0,910	0,899	1,028	2,065	1,065	0,270	1,120	3,442
K ₀	>1	<1	>1	<1	<1	>1	>1	>1	<1	>1	>1
ნიადაგების დაბინძურება ლოკაციაზე	2-3	-	2-3	-	-	3	1-2-3	3	-	2-3	2-3

დასკვნა. მდ. აჭარისწყლის ხეობა და მიმდებარე ტერიტორიები გამოირჩევა რელიქტური და ენდემური სახეობების, საქართველოსა და აჭარის წითელ ნუსხებში შეტანილი სახეობების სიმრავლით. ნიადაგების გატუტიანებულია შუახევკესის წყალმემკრებთან და შუახევკესთან. ნიადაგები ღარიბია ჰუმუსით და აზოტით. ელემენტების-Mn, As, Ba, Mo, Cd, Pb, Zn გაზრდილი კონცენტრაციები ნიადაგების ქიმიური დაბინძურებაზე მიუთითებს. As, Ba, Cd, Pb-ით დაბინძურების საშიშროება >1-ზე შუახევკესის წყალმემკრებთან და შუახევკესთან; Mo, Zn-ით დაბინძურებისა-შუახევკესთან, ხოლო Mn-ით დაბინძურებისა-სამივე ლოკაციაზე.

ლიტერატურა

- [1] საქართველოს წითელი წიგნი.// საქართველოს მეცნიერთა ეროვნული აკადემია. გამოცემა „საბჭოთა საქართველო“, 2017, 240 გვ.
- [2] თხელიძე ა., ლიპარტელიანი რ., უმლაძე ნ., ხომასურიძე ხ., დანელია გ. სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია და გარემოს დაცვა (სახელმძღვანელო). // თბილისი: საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, 134 გვ.
- [3] მარგველაშვილი გ. ნიადაგის ქიმიური ანალიზი. // თბილისი, გამომცემლობა „საჩინო“, ISBN 978-9941-8-1511-9, 2019, 331 გვ.
- [4] გახოვიძე რ. „მწვანე ბიოორგანული რეველუციის“ საწყისებთან. // თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ISSN: 9789941133336, 2014, 140 გვ.
- [5] Gvarishvili N., Kiknadze N., Memiadze N., Jashi D., Nakashidze N. Primary and Secondary (Natural) Phytocenosis Mountainous Adjara and Evaluation of their Soil Fertility Level. // 19th International Multidisciplinary Scientific Geo Conference & EXPO SGEM 2019. Ecology and Environmental Protection Albena, Bulgaria, ISSN 1314-2704, 28.06-2019-07.07.2019, pp.619-626. DOI: 10.5593/SGEM
- [6] Gvarishvili N. The expected impact of hydroelectric station cascade construction at ecosystem of highland Adjara”. // International scientific conference “Intercultural dialogues“ Scientific papers IV, ISSN 2233-3401, Telavi, 2017, pp. 117-122.
- [7] Беккер Ю. Спектроскопия. // Издание: 1-е, ISBN 978-5-94836-220-52009, 528 стр.
- [8] Releve Method-handbook for Collecting Vegetation Plot Data in Minesota. // State of Minesota, 2013, p. 64.
- [9] EUNIS habitat classification // <https://www.eea.europa.eu/data-and-maps/data/eunis-habitat-classification>
- [10] Ahmad Waqar, Ullah Najeeb, Zia Munir Hussain. Soil contamination with metals: sources, types and implications. Soil remediation and plants: prospects and challenges. // Edited by Khalid Rehman Hakeem, Muhammad Sabir, Münir Öztürk, and Ahmet Ruhi Mermut. London, United Kingdom: Academic Press, 2014, pp. 37-61. H90 <https://doi.org/10.1016/B978-0-12-799937-1.00002-4>

CONSERVATIVE VALUE OF NATURAL HABITATS OF THE ADJARISTSKHALI GORGE AND ASSESSMENT OF SOIL POLLUTION ADJACENT TO THE TERRITORIES OF THE SHUAKHEVI HPP

Gvarishvili N., Kiknadze N., Abuladze T., Tavdgiridze G.

Batumi Shota Rustaveli State University, Batumi, Georgia
gvarishvili.nana@bsu.edu.ge

Abstract. *The surroundings of the Adzharistskali River valley are a refugium for tertiary moisture lovers for the Colchis forest ecosystems, which have been awarded the status of a UNESCO World Natural Heritage Site. The construction and operation of derivative cascade hydroelectric power plants currently taking place in the valley poses the risk of fragmentation, destruction and loss of natural habitats. In order to assess the current ecological state in the Adjaristskali Valley, a baseline study of the biodiversity of ecosystems was conducted in pre-selected locations. The research was carried out in the village of Shuakhevi, Shuakhevi catchment area of the Shuakhevi HPP and Shuakhevi HPP. Soil leaching was detected in the catchment area of the Shuakhevi HPP and on the Shuakhevi HPP. The soils are poor in humus and nitrogen. The risk of contamination with As, Ba, Cd, Pb exceeds 1 in the Shuakhevi catchment area and the Shuakhevi HPP; contamination Mo, Zn -near the Shuakhevi HPP, and Mn - in all locations.*

Keywords: *Forest ecosystems, soil fertility, pollution, multielement analysis.*

**ფარავნის ტბის მიმდებარე მთის ველების ჰაბიტატების
ეკოტოქსიკოლოგიური კვლევები**

გვარიშვილი ნ., კიკნაძე ნ., ნაკაიძე ნ., მეგრელიძე ნ.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო
gvarishvili.nana@bsu.edu.ge

ანოტაცია. საველე-რეკოგნოსცირებული კვლევების და ლიტერატურული წყაროების ანალიზის საფუძველზე შესწავლილია ფარავნის ტბის მიმდებარე ტერიტორიების ბიომრავალფეროვნება, ჩატარებულია წყლის, ნიადაგისა და მცენარის ეკოქიმიური ანალიზი. საკვლევი ტერიტორია ცენტოპურად მრავალფეროვნა, მდიდარია რელიქტური, ენდემური და წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობებით. საკვლევი ნიადაგების რეაქცია ნეიტრალურია. ფარავნის ტბის ტიპური შავმიწები მდიდარია ორგანული ნივთიერებით, საერთო აზოტი შეადგენს ჰუმუსის შემცველობის 28-30%-ს. ნიადაგები მდიდარია Ca, K, Mg, P-ით. ნიადაგებში ზდკ-ს აღმატება Ba, V-ის კონცენტრაცია. მაკროელემენტებიდან ფარავნის ტბის წყალში ზდკ-ს აღმატება Al, P, Si-ის კონცენტრაციები, აქტიურადაა გამოხატული ევტროფიკაციის პროცესი. ზდკ-ს აღმატება ვანადიუმის (0,0119–0,0178მგ/ლ) და ბერილიუმის (0,0004–0,0005მგ/ლ) შემცველობა. ბალახოვნებში აღინიშნა ნიადაგიდან მაკრო- და მიკროელემენტების საკმაოდ კარგი შთანთქმის უნარიანობა.

საკვანძო სიტყვა: ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, ფარავნის ტბა, ტიპური შავმიწები, ბალახოვნები, ზდკ.

აქტუალობა. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი სამხრეთ საქართველოს რეგიონია, სადაც ადამიანის სამეურნეო საქმიანობის გავლენით ბუნებრივი მცენარეულობის გარდაქმნა ფართო მასშტაბებით განხორციელდა. ადრე ჯავახეთის დიდი ნაწილი ტყეებით, ძირითადად ფიჭვნარით და არყნარით იყო დაფარული. დღეს ეს ტერიტორია წარმოდგენილია მთის ველებით, გასტეკებული მდელოებით, ტბების ირგვლივ განვითარებული წყალჭაობიანი ეკოსისტემებით და ფიჭვნარების ხელოვნური ნარგაობებით. აქ განვითარებული მცენარეულობის მრავალფეროვნების შესწავლა და დღეს არსებული ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება ითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას. სწორედ ამ აქტუალურ საკითხს ეხება წინამდებარე ნაშრომი.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მთიანეთის ბიომრავალფეროვნების ფონური შესწავლა; შერჩეულ ლოკაციაზე დღეს არსებული ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება მცენარის, წყლისა და ნიადაგის მულტიელემენტური ანალიზის, ასევე ნიადაგების აგროქიმიური მაჩვენებლების შესწავლის საფუძველზე.

კვლევის ამოცანებს წარმოადგენდა საკვლევ ტერიტორიაზე განვითარებული მაღალი მთის ველების და წყალჭაობიანი ეკოსისტემების ცენოლოგიური დიაგნოსტიკა; შერჩეულ ლოკაციაზე ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასების მიზნით, მცენარის, ნიადაგისა და წყლის ნიმუშების მულტიელემენტური ანალიზი.

რეკოგნოსცირებული კვლევის ობიექტს წარმოადგენდა ფარავნის ტბის ტერიტორიაზე გავრცელებული მაღალი მთის ველების, მდელოების, ტბების სანაპიროს მიმდებარე ჭარბტენიანი ეკოსისტემების და ხელოვნურად გაშენებული ფიჭვნარი კორომების ჰაბიტატები (ნინოწმინდის

მუნიციპალიტეტის ფარავნის ტბის ადკვეთილის მიმდებარე ფერდობების ფიტოცენოზები). შერჩეულ ლოკაციებზე ლაბორატორიული კვლევისთვის აღებული იქნა მცენარის, ნიადაგის და წყლის ნიმუშები.

გამოყენებული მეთოდები: საკვლევი ლოკაციის მიმდებარე ლანდშაფტების ბიომრავალფეროვნების შესწავლა მოხდა რელევე მეთოდით [1, 10]; მოეწყო მარშრუტულ-ბოტანიკური ექსპედიციები 2022 წლის ივნისსა და ივლისში; ჩატარდა რეკოგნოსცირებული სამუშაოები, რაც გულისხმობს, საკვლევი ტერიტორიის ფონურ კვლევას [2, 9]; აღწერის ბლანკის გამოყენებით მოხდა ფიტოცენოზების დიაგნოსტიკა [3, 7]; ნიადაგის ნაყოფიერების დასადგენად და მცენარის ნიმუშების საანალიზოდ მოსამზადებლად, გამოყენებული იქნა მშრალი დანაცრების და ტიტრირებადი მეთოდები [4, 5, 6]; ნიადაგის და მცენარის მულტიელემენტური ანალიზი ჩატარდა პლაზმური ატომურ-ემისიური სპექტრომეტრით, ხელსაწყო ICPE-9820-ზე [8, 11, 12].

კვლევის შედეგები.

ნინოწმინდის მთიანეთის მცენარეულობა განსაკუთრებული ბუნებრივი პირობების გამო მეტად მდიდარი და მრავალფეროვანია. ტერიტორიის უმეტესი ნაწილი უტყეოა, დაფარულია მთის მდელო-ველის მცენარეულობით. ეს ლანდშაფტურ-გეობოტანიკური ზონა მოიცავს: ჭარბტენიან ტერიტორიებს, უნიკალური ტიპების და ტიპების ირგვლივ დაჭაობებულ ტაფობებში გავრცელებული წყლისა და ჭაობის მცენარეულობით; მთის სტეპებს მრავალი მოდიფიკაციით; მთის ქსეროფიტულ ბუჩქნარებს; მშრალ და მეზოფილურ მდელოებს; ტყის რელიქტურ ნაშთებს, რომლებიც ერთ დროს ჩვეულებრივ არსებობდა ჯავახეთის ზეგანზე. ნინოწმინდის მთიანეთის ფერდობებზე ბიომებს ქმნიან ჰემიქსეროფილური და მეზოფილური ფიტოცენოზები, ზოგჯერ კი მათი ერთობლივი კომბინაციები. სტეპის მცენარეულობა წარმოშობის მიხედვით მეორადია, იგი ჯავახეთის ზეგანზე ტყის საფარის განადგურების კვალდაკვალ ჩამოყალიბდა. ტერიტორიის დიდი ნაწილი დამუშავებულია და სასოფლო-სამეურნეო კულტურებს უჭირავს, ხოლო დანარჩენი ფართობები სათიბ-საძოვრებადაა გამოყენებული. საკვლევი ტერიტორია ცენტოტიპურად მრავალფეროვანია, მთიანეთის უტყეო ფერდობებზე ბიომებს ქმნიან ჰემიქსეროფილური მარცვლოვან-ნაირბალახოვანი პოლიდომინანტური ველები (ველისწივანიან-ნაირბალახოვანი (*Festuca valesiaca*, *mixtoherbosa*), ვაციწვერიან-ველისწივანიან-ნაირბალახოვანი (*Stipatirsa*, *Festuca valesiaca*, *mixto herbosa*), ისლიან-მარცვლოვან-ნაირბალახოვანი (*Carex humilis*, *Festuca valesiaca*, *Stipa capillata*, *mixto herbosa*), ბეგქონდარიან-ისლიან-ველისწივანიანი (*Thymus rariflorus*, *Carex humilis*, *Festuca valesiaca*) და მეზოფილური კოლბოხოვანი ჭაობების მცენარეულობა - ისლიან-შვიტიანი (*Cerex acuta*, *Equisetum heleocharis*), ისლიან-კოლბოხიანი (*Carex diandra*, *purum*), ლერწმიან-შვიტიანი (*scolochloa festucea*, *equisetosum heleocharis*), ლერწმიან კოლბოხიანი (*scolochloa festucea*, *purum*). საკვლევი ტერიტორია მდიდარია რელიქტური, ენდემური და წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობებით.

ფარავნის ტბის ტიპიური შავმიწა ნიადაგის 0–40სმ სახნავ ფენაში წყლიანი გამონაწურის pH 7,3-ია, ანუ რეაქცია თითქმის ნეიტრალურია. ჰუმუსის შემცველობა შეადგენს 6,3%-ს, ამრიგად ნიადაგი მდიდარია ორგანული ნივთიერებებით. საერთო აზოტის შემცველობა შეადგენს 1,89%-ს და იგი ჰუმუსის შემცველობის 30%-ია, ნიადაგი უზრუნველყოფილია აზოტით (ცხრილი 1).

ცხრილი 1. ნიადაგის ნაყოფიერების ზოგიერთი მაჩვენებელი.

ლოკაცია	ნიადაგის ტიპი, სახეობა	pH	ჰუმუსი %	საერთო აზოტი %
ფარავნის ტბის მიმდებარედ	ტიპიური შავმიწა	7,3	6,3	1,89
<i>უზრუნველყოფის ხარისხი</i>		<i>ნეიტრალურთან მიახლოებული</i>	<i><3-ღარიბი 3-5 –საშუალო >5 –მდიდარი</i>	<i><0.3-ღარიბი 0.3-0.5 – საშუალო >0.5-მდიდარი</i>

ნიადაგში მაკროელემენტები განლაგებულია თანმიმდევრობით: Ca > K > Mg > Si > Na > P > Al. ნიადაგი მდიდარია კალციუმით, კალიუმით, მაგნიუმით, ფოსფორით (ცხრილი 2). ტბის მიმდებარედ აღებულ ბალახოვნებში აღინიშნა ნიადაგიდან მაკროელემენტების საკმაოდ მაღალი შთანთქმის უნარიანობა, რასაც უზრუნველყოფს შავმიწა ნიადაგის კარგი სტრუქტურა და მექანიკური შედგენილობა, მისი მაღალი სიფხვიერის ხარისხი (ცხრილი 3).

ცხრილი 2. ფარავნის ტბის მიმდებარე ტერიტორიების ტიპიური შავმიწა ნიადაგების ელემენტური ანალიზი, მაკროელემენტები 0–40 სმ ფენაში (მგ/კგ).

ლოკაცია	ნიადაგის ტიპი	Al	Ca	K	Mg	Na	P	Si
ფარავნის ტბის მიმდებარედ	ტიპიური შავმიწა	17.7	1206.3	1187	136.8	119.06	72.89	293.0

ცხრილი 3. ფარავნის ტბის მიმდებარე ტერიტორიების ბალახოვნების ელემენტური ანალიზი, მაკროელემენტები (მგ/კგ).

ლოკაცია	Al	Ca	K	Mg	Na	P	Si
ფარავნის ტბის მიმდებარედ	8.909	529.7	856	95.2	55.2	48.0	87.6

მიკროელემენტებიდან ნიადაგის 0–40 სმ ფენაში აღმოჩენის ზღვარს ქვემოთ იმყოფება: As, B, Be, Cd, Co, Cr, Li, Sb, Se, Zn. ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას აღემატება Ba-ის (0,19 მგ/კგ) და V-ის (0,202 მგ/კგ) კონცენტრაციები (ცხრილი 4). ამასთან, დაფიქსირდა აღნიშნული ელემენტების მაღალი შეღწევადობის უნარი ნიადაგიდან ბალახოვან მცენარეებში (ცხრილი 5).

ცხრილი 4. ფარავნის ტბის მიმდებარე ტერიტორიების ნიადაგების ელემენტური ანალიზი, მიკროელემენტები 0–40 სმ ფენაში (მგ/კგ).

ლოკაცია	ნიადაგის ტიპი	Ba	Cu	Fe	Mn	Mo	Ni	Ti	V
ფარავნის ტბის მიმდებარედ	ტიპიური შავმიწა	0.19	0.308	10.3	0.0418	0.0719	0.0614	0.769	0.202
ზდკ, მგ/კგ		0,025	3,0	-	2,0	0,35	4.0	-	0,1

ცხრილი 5. ფარავნის ტბის მიმდებარე ტერიტორიების ბალახოვნების ელემენტური ანალიზი, მიკროელემენტები, მგ/კგ.

ლოკაცია	Ba	Cu	Fe	Mn	Mo	Ni	Ti	V
ფარავნის ტბის მიმდებარედ	0.12	0.0842	0.0311	0.0384	0.032	0.0079	-	0.0492

მაკროელემენტებიდან ფარავნის ტბის წყალში ზდკ-ს აღემატება Al-ის, P-ის და Si-ის კონცენტრაციები. მაკროელემენტებიდან დომინანტია Na – 196 მგ/ლ. მაკროელემენტები შემცველობის მიხედვით განლაგებული არიან რიგში: Na > Ca > K > Mg > Si > Al > P. განსაკუთრებით საგანგაშოა ის ფაქტი, ტბის სანაპირო წყლებში დიდი რაოდენობითაა შეწონილი დალეილი ნაწილაკები, რასაც ადასტურებს წყლებში Al-ის და Si-ის ზდკ–ზე მაღალი შემცველობა (ცხრილი 6). მეორეს მხრივ, წყალში გროვდება Na, რომლის მაღალი კონცენტრაცია ფეკალური მასების და სხვა სახის გაბინძურებული ჩამდინარე წყლების დიდი რაოდენობის მოხვედრით არის განპირობებული. ამასთან, ტბის წყალი განიცდის აქტიურ

„ყვავილობას“ (ევტროფიკაციის პროცესს), რაც დასტურდება ფოსფორის ზდკ-ზე მაღალ შემცველობაში და გამოსახულია ვიზუალურადაც.

ცხრილი 6. მაკროელემენტების შემცველობა ფარავნის ტბის წყალში, მგ/ლ.

ლოკაცია	Al	Ca	K	Mg	Na	P	Si
ფარავნის ტბა	3.18	115.32	100.34	71.6	196	0.0304	18.25
ზდკ, მგ/ლ	1,0	-	-	-	< 200	0,028	10,0

მიკროელემენტებიდან წყლებში აღმოჩენის ზღვარს ქვემოთ იმყოფება: Be, Cd, Co, Cr, Cu, Hg, Li, Mo, Ni, Se, Ti, Zn. ზდკ-ს არ აღემატება: B, Ba, Fe, Mn, As, Sb. ტბის წყალში ზდკ-ს აღემატება მძიმე მეტალების – ვანადიუმის (0,0119მგ/ლ) და ბერილიუმის (0,0004მგ/ლ) შემცველობა.

ცხრილი 7. მიკროელემენტების შემცველობა წყლებში, მგ/ლ.

ლოკაცია	B	Ba	Fe	Mn	As	V	Be	Sb
ფარავნის ტბა	-	0.0082	-	0.0029	-	0.0119	0.0004	-
ზდკ, მგ/ლ	0,5	0,025	0,3	0,05	0,01	0,01	0,0002	0,005

დასკვნა. საკვლევი ტერიტორია ცენოტიპურად მრავალფეროვნია, წინწმინდის მთიანეთის უტყეო ფერდობებზე ბიომებს ქმნის ჰემიქსეროფილური მარცვლოვან-ნაირბალახოვანი პოლიდომინანტური ველები: ველისწივიან-ნაირბალახოვანი (*Festuca valesiaca, mixto herbosa*); ვაციწვერიან-ველისწივიან-ნაირბალახოვანი (*Stipa tirsia, Festuca valesiaca, mixto herbosa*); ისლიან-მარცვლოვან-ნაირბალახოვანი (*Carex humilis, Festuca valesiaca, Stipa capillata, mixto herbosa*); ბეგქონდარიან-ისლიან-ველისწივიანი (*Thymus rariflorus, Carex humilis, Festuca valesiaca*); მეზოფილური კოლბოხოვანი ჭაობების მცენარეულობა (ისლიანი-შვიტიანი (*Cerex acuta, Equisetum heleocharis*); ისლიან-კოლბოხიანი (*Carex diandra, purum*); ლერწმიან-შვიტიანი (*scolochloa festucea, equisetosum heleocharis*); ლერწმიან კოლბოხიანი (*scolochloa festucea, purum*). ტერიტორია მდიდარია რელიქტური, ენდემური და წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობებით. ფარავნის ტბის მიმდებარედ განვითარებულია ტიპური შავმიწები. მათი რეაქცია თითქმის ნეიტრალურია, ისინი მდიდარია ორგანული ნივთიერებებით, აზოტით, მცენარის კვებისთვის აუცილებელი ელემენტებით (Ca, Mg, K, P). ნიადაგში ზდკ-ს აღემატება Ba-ის და V-ის კონცენტრაციები. მაკროელემენტებიდან ტბის წყალში ზდკ-ს აღემატება Al, P, Si-ის კონცენტრაციები. მაკროელემენტებიდან დომინანტია Na. ტბის წყალი განიცდის ევტროფიკაციის პროცესს, რაც დასტურდება P-ის ზდკ-ზე მაღალი შემცველობით (0.0304 მგ/ლ). წყალში ზდკ-ს აღემატება მძიმე მეტალების – V-ის და Be-ის შემცველობა.

ლიტერატურა

[1] ელიზბარაშვილი ნ., ნიკოლაშვილი დ. და სხვები. ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ლანდშაფტური დაგეგმარება. // ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი (WWF), გამომცემლობა „უნივერსალი“, ISBN 978-9941-17-155-0, 2010.

[2] იანქოშვილი გ. სამხრეთ საქართველოს მთიანეთი (ჯავახეთის ზეგნის ჩათვლით) // https://www.researchgate.net/publication/290432217_samkhret_sakartvelos_mtianeti_javakhetis_zegnis_chatvliit

[3] ნიძე ვ. სამცხე-ჯავახეთი. // წიგნში, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია, ტ.2, 256-271. 4. Kikodze, D.. Environmentalbaseline - BTC/SCP Pipeline Project ESIA, DzelkvaLtd, 2002.

[4] მარგველაშვილი გ. ნიადაგის ქიმიური ანალიზი, // თბილისი, გამომცემლობა „საჩინო“, 2019, 331 გვ.

[5] მსოფლიო საცნობარო ბაზა ნიადაგების რესურსებისათვის. // თბილისი, აგრარული უნივერსიტეტი, 2017, 221 გვ.

[6] ონიანი ო., მარგველაშვილი გ. // მცენარის ქიმიური ანალიზი. // თბილისი, გამომცემლობა „განათლება“, 1978, გვ. 18–22.

[7] სამცხე-ჯავახეთის ფლორის განვითარების თავისებურებები. // <http://samtskhe-javakheti.tsu.ge/uploads/image/mcenareebi.pdf>

[8] საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ №519-III. // თბილისი, 1996 წლის 10 დეკემბერი, 29 გვ.

- [9] საქართველოს მცენარეთა სარკვევი. ტომი I.II. // თბილისი, 1964, 1969, გვ. 458.
- [10] Releve Method-handbook for Collecting Vegetation Plot Data, 2013, p. 64.
- [11] Беккер Ю. Спектроскопия. // Издание: 1-е, ISBN 978-5-94836-220-5, 2009, 528 pg.
- [12] Internet resource // <https://www.shimadzu.com/an/products/elemental-analysis/inductively-coupled-plasma-emission-spectroscopy/icpe-9800-series/index.html>

ECOTOXICOLOGICAL STUDIES OF HABITATS ADJACENT TO MOUNTAIN FIELDS OF THE PARAVANI LAKE

Gvarishvili N., Kiknadze N., Nakaidze N., Megrelidze N.

*Batumi Shota Rustaveli State University, Batumi, Georgia
gvarishvili.nana@bsu.edu.ge*

Abstract. Based on field reconnaissance research and analysis of literary sources, the biodiversity of the adjacent areas of Paravani Lake was studied, an eco-chemical analysis of water, soil and plants was carried out. The study area is cenotypically diverse, rich in relict, endemic and species included in the Red Book. The reaction of the studied soils is neutral. Typical chernozems of Paravani Lake are rich in organic matter, total nitrogen makes up 28-30% of the humus content. The soils are rich in Ca, K, Mg, P. The concentration of Ba and V in soils exceeds the MPC. Among macro-elements, the concentrations of Al, P, and Si in the lake water exceed the MPC, and the process of eutrophication is actively expressed. Among heavy metals, the content of V (0.0119-0.0178 mg/l) and Be (0.0004-0.0005 mg/l) exceeds the MPC. It has been noted that grasses have a fairly good ability to absorb macro- and microelements from the soil.

Keywords: Municipality of Ninotsminda, Faravani Lake, typical chernozems, herbaceous plants, MPC.

აჭარის მთავარი წყალშემკრები აუზების მქონე მდინარეების ფეკალური დაბინძურების დონის ლაბორატორიული კვლევა

დარჩიძე გ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
Darchidz1995@gmail.com

ანოტაცია. წყლის დაბინძურების პრობლემა მსოფლიოსთვის სულ უფრო აქტუალური ხდება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წყლის წყაროების ბიოლოგიურ დაბინძურებას, რომელიც წარმოიქმნება წვიმისა და დნობის წყლის გამორეცხვის ან ანთროპოგენური ბიოლოგიური დაბინძურების წყაროების გამორეცხვის შედეგად. წყლის გარემოში მოხვედრის შემდეგ, ხელსაყრელ პირობებში, პათოგენური ორგანიზმები შეიძლება სწრაფად გამრავლდნენ, რაც საფრთხეს უქმნის გარემოს.

წყლის დამაბინძურებლების ზემოქმედება კონკრეტულ წყლებზე განსხვავებულია და შეიძლება ყოველთვის არ იყოს სრულად დაფასებული. თუმცა, ჩვენ ვიცით, რომ ამ დამაბინძურებლებს აქვთ მკვეთრი გავლენა სასმელი წყლის მარაგზე, დასვენებაზე, მეთევზეობასა და ველურ ბუნებაზე. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი წყლის ბიოლოგიური დაბინძურების წყაროს მოძიება, მისი ხანდაზმულობის და ლეტალობის შესწავლა, რათა შემუშავდეს დაბინძურების აღმოფხვრის ეფექტური მეთოდი.

შეირჩა 16 მდინარე, რომლებზეც გაკეთდა ბაქტერიოლოგიური კვლევა ფეკალური ნარჩენების არსებობის დასადგენად, სხვა წყაროებზე დადგენილია დეზიტი, სიმღვრივე და E-Coli (საველე პირობებში).

საკვანძო სიტყვები: დაბინძურების ფეკალური წყარო, წყლის წყარო, კვლევა, აჭარის რეგიონი.

მადლიერება: ავტორი ღრმად მადლიერია იმ ადამიანებისა და კომპანიების, ვინც წვლილი შეიტანა ამ მოხსენებაში. კერძოდ, განსაკუთრებული მადლობა „აჭარის ქალაქებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყლის რესურსების პროგრამა“-ს, აჭარის წყლის ალიანსს და "MACS"-ის წარმომადგენლობა საქართველოს ტექნიკური დახმარების, კვლევითი საქმიანობის წახალისებისა და მხარდაჭერისთვის. ასევე მადლობა მიმინდა გადავუხადო ზურაბ მეგრელიშვილს საწყისი მონახაზის აკრეფის პროცესში ჩართულობისა და გაწეული მხარდაჭერისთვის.

შესავალი

აჭარის რეგიონის ზედაპირული წყლების ხარისხის მონიტორინგის მთავარი მიზანია არსებული ანთროპოლოგიური დაბინძურების დონის განსაზღვრა, ლაბორატორიული ანალიზებისა და მდინარეთა აუზების დათვალიერების მეშვეობით, რათა მოხდეს რეკომენდაციების შემუშავება არსებული დაბინძურების კერების უტილიზაციისა და სამომავლო დაბინძურების თავიდან აცილებითი სამუშაოების გასატარებლად.

შერჩეულ მდინარეთა აუზებში მონიტორინგის განხორციელების საფუძველია:

- I. დაბინძურების დონის განსაზღვრის საჭიროება აჭარის რეგიონში მდინარეთა აუზის წყლის ობიექტებში დაბინძურების ხარისხის შესაფასებლად და მდინარის აუზის მართვის გეგმების შემუშავებისთვის.
- II. ინფორმაციის მოპოვების საჭიროება წყლის რესურსების დაბინძურების თავიდან ასაცილებლად.
- III. ინფორმაციის მოპოვების საჭიროება მდინარეთა და წყლის ეკოსისტემის ეფექტური მართვისთვის.
- IV. შერჩეული მდინარეების აუზში შესაძლო დაბინძურების წყაროების და მიზეზების იდენტიფიკაცია.

- V. სახელმწიფო, რეგიონული და ადგილობრივი სამთავრობო უწყებების, ორგანიზაციებისა და საზოგადოებისა ცნობიერების გაზრდა აჭარის რეგიონის მდინარეთა წყლის ხარისხის შესახებ.
- VI. დაბინძურების კერების მიხედვით რეკომენდაციული ტიპის დასკვნების გაკეთება.

ძირითადი ნაწილი

აჭარის რეგიონის მცირე და დიდი მდინარეების შესწავლის, დაბინძურების კერების მოძიებისა და მათი შეფასების მიზნით, პირველი კოლოქიუმის მოხსენების შემდეგ გაგრძელდა კვლევები E-Coli-ით დაბინძურებული მდინარეების გამოსავლენად (ცხრილი 1), და მათი სიმღვრივის მაჩვენებლის გასარკვევად (ცხრილი 2).

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ეს არის ერთჯერადი ჩატარებული კვლევები. 2023-ის მაისის თვიდან კი დავიწყეთ პერიოდული განმეორებითი კვლევები იგივე პარამეტრებზე, ოღონდ ამჯერად განსხვავებულ სეზონულ მონაკვეთებში. ცხრილის სახით წარმოგიდგინებ სხვაობებს პირველ და მეორე ეტაპობრივ კვლევებში მიღებული შედეგების უკეთ შედარების მიზნით.

დაიწყო ა.ა.რ-ის თვითმმართველ ერთეულებში შერჩეული 16 წყალშემკრები მდინარის პერიოდული ლაბორატორიული კვლევების პირველი ეტაპი ქვეყანაში მოქმედი ნორმების შესაბამისად. სინჯის აღების ადგილების შერჩევის მეთოდის შესარჩევად გამოვიყენეთ:

- საქართველოს კანონმდებლობა [1, 2, 3];
- ევროკავშირის წყლის ინიციატივა პლუსი (EUWI+) აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის „ზოგადი სახელმძღვანელო მითითებები ზედაპირული წყლების კვლევისათვის” საფუძველზე. [4]
- ზედაპირული წყლების მონიტორინგის განვითარების გეგმა საქართველო - ჰიდრობიოლოგიური მონიტორინგი - შესაბამისად (UNECE 2000 და EU WFD 2000)[5]
- მდინარე ქცია /ხრამის აუზის დაგეგმვის პროცესი [5];
- ევროკავშირის წყლის ინიციატივა პლუს პროექტის (2016-2020) ფარგლებში ჩატარებული ტრანსსასაზღვრო კვლევები [6].

ცხრილი 1. მუნიციპალიტეტებში E-Coli-ით დაბინძურებული მდინარეების რაოდენობა.

მუნიციპალიტეტი	დაბინძურებული წყაროს რაოდენობა	დაუბინძურებელი წყაროს რაოდენობა	სულ
ქობულეთი	40	34	74
ხელვაჩაური	17	52	69
ქედა	17	45	62
შუახევი	19	43	62
ხულო	23	23	46
სულ	144	197	341

აღნიშნული ლაბორატორიული კვლევებისთვის მდინარეების შერჩევის პროცესში, ვეცადეთ შეგვეჩინა მდინარეები, იმ პრინციპით, რომ შესაძლებელი ყოფილიყო აჭარის რეგიონული ჰიდროლოგიური ქსელის უდიდესი ნაწილის შეფასება. ამისთვის შერჩეულ იქნა დამოუკიდებელი წყალშემკრები აუზების მქონე მდინარეები.

ამ კუთხით აჭარა საკმაოდ გამორჩეული რეგიონია, რადგან აქ ვხვდებით პატარა მდინარეებს სიგრძით 40 კმ-მდე, რომლებიც ქობულეთის და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში დამოუკიდებლად უერთდებიან შავ ზღვას, მაშინ როცა შუა აჭარის მდინარეები მდინარე აჭარისწყალის წყალშემკრები აუზის შენაკადებს წარმოადგენენ.

ცხრილი 2. მუნიციპალიტეტებში სიმღვრივით დაბინძურებული მდინარეების რაოდენობა

მუნიციპალიტეტი	დაბინძურებული წყაროს რაოდენობა	დაუბინძურებელი წყაროს რაოდენობა	სულ
ქობულეთი	44	30	74
ხელვაჩაური	37	32	69
ქედა	45	17	62
შუახევი	32	30	62
ხულო	31	15	46
სულ	217	124	341

